



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი  
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება  
არქიტექტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება  
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
„26“ სექტემბერი 2019 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი  
„25“ ნოემბერი 2019 წელი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებით	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	245628496
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქიტექტურა
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მიითითებით	არქიტექტურის ბაკალავრი 1101
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ალექსანდრე წაქაძე, შპს ფორსი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ხაბეიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი ქურდიანი, სამხატვრო აკადემია, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქიტექტურისა და დიზაინის (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; ინტერიერი და დიზაინი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2013 წლის 01 აგვისტოს N 8 გადაწყვეტილებით მიღებული აქვს ავტორიზაცია; უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით (ოქმი N 16) კი - პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია.

წარმოდგენილი პროგრამა შემუშავებულია ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის 2019 წლის 9 ნოემბრის N01-08/77 ბრძანებით შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შეფასების ჯგუფის მიერ.

სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე, პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადების პროცესში არსებულ პროგრამაში შევიდა გარკვეული ცვლილებები, რომლებიც აისახა შეფასებისათვის წარმოდგენილ პროგრამაში. პროგრამა წარმოდგენილ იქნა 62 სასწავლო კურსით, მათ შორის 58 საუნივერსიტეტო სავალდებულო და 4 არჩევითი. სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების ჯამური რაოდენობა შეადგენს 240 კრედიტს, რომელიც სასწავლო კურსებში განაწილებულია 1, 2, 3, 4, 5, 6 და 10 კრედიტებად. მათ შორის 1 კრედიტიანი 2 სწავლო კურსი; 2 კრედიტიანი 10 სასწავლო კურსი (აქედან 9 სავალდებულო, 1 არჩევითი); 3 კრედიტიანი - 37 (36/1); 4 კრედიტიანი - 3 სავალდებულო სასწავლო კურსი; 5 კრედიტიანი - 6 (4/2); 6 კრედიტიანი - 5 სავალდებულო სასწავლო კურსი; 10 კრედიტიანი - 1 სავალდებულო სასწავლო კურსი (საბაკალავრო ნაშრომი). პროგრამა დამუშავებულ იქნა არსებულის ბაზეზე, რომელსაც დაემატა შემდეგი ახალი კურსები: მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია; მშენებლობის ორგანიზაციის საფუძვლები; ქალაქი, ტრანსპორტი და ქალაქმშენებლობითი პროექტირება; ურბანული მემკვიდრეობის დაცვა; ქალაქმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები; დარგობრივი სამართალი არქიტექტურის სფეროში; გარემოს დიზაინის, ინტერიერის დიზაინის საფუძვლები, ქალაქმშენებლობის საფუძვლები. პროგრამაში გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტი და დაემატა კრედიტები. ასევე, შეიცვალა სასწავლო კურსების კრედიტების ოდენობა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების, შინაარსობრივი თანმიმდევრობის, წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში) დაცვით, რაც იძლევა დასახული კომპეტენციების მიღწევის შესაძლებლობას. მისანიჭებელი კვალიფიკაციის, პროგრამის მიზნების, შინაარსისა და შედეგების ერთმანეთთან თანხვედრაში მოყვანის მიზნით. პროგრამის შემუშავებული ჯგუფისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით დაიხვეწა პროგრამის სასწავლო კურსების სწავლებისა და სწავლის მეთოდიკა, შეფასების მეთოდები, სწავლის შედეგები. გაფართოვდა სასწავლო კურსების თემატიკა, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა, მომზადდა ახალი რიდერები და სხვ.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი) – 35: სულ აკადემიური პერსონალი - 10, საიდანაგ: პროფესორი - 1, ასოცირებული პროფესორი - 8, ასისტენტ პროფესორი - 1; სულ აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა - 10, საიდანაგ: აფილირებული პროფესორი - 1, აფილირებული ასოცირებული პროფესორი - 8, აფილირებული ასისტენტ

პროფესორი - 1; სასწავლო პროცესში ჩართული მოწვეული პერსონალი - 25, საიდანაც :პირველი კატეგორიის მოწვეული სპეცილისტი - 9, მეორე კატეგორიის მოწვეული სპეცილისტი - 16.

▪ **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება N871-ის საფუძველზე (20.09.2019) სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ვიზიტისათვის შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით: ალექსანდრე წაქაძე (თავმჯდომარე), ნინო ხაბეიშვილი (წევრი), გიორგი ქურდიანი (წევრი). დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 26 სექტემბერს წინასწარ შედგენილი დღის წესრიგის შესაბამისად აკრედიტაციის ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა დაამუშავეს დაწესებულების მიერ წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ონლაინ და პირისპირ შეხვედრების (24.09.2019) შედეგად ერთმანეთს გაუზიარეს ის მიგნებები, რაც დოკუმენტაციის საფუძველზე გახდა შესაძლებელი. დაწესებულების მხრიდან, აკრედიტაციის ვიზიტი ორგანიზებული იყო მაღალ დონეზე. შეხვედრები განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ ყველა ობიექტზე; ვიზიტის ბოლოს, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის მოხდა შემაჯამებელი შეხვედრა და ამის შემდეგ მათ დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნეს ის ძირითადი მიგნებები, რაც მათ მიერ იქნა შემუშავებული არქიტექტურის საბაკალავრო პროგრამაზე მუშაობის ფარგლებში. აკრედიტაციის ვიზიტი დასრულდა 17.30 სთ-ზე.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი:

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  - 1.1. პროგრამის მიზნები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
  - 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  - 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - 2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - 2.3. სასწავლო კურსი - ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - 2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- 2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
- 2.6. სტუდენტების შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  - 3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა.
- 4. **სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  - 4.1. ადამიანური რესურსი - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - 4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - 4.3. მატერიალური რესურსი - პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - 4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- 5. **სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**
  - 5.1. შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - 5.2. გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
  - 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

▪ **რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში აისახოს ევრო-დირექტივა 2005-36-ს მოთხოვნები და რეკომენდაციები;
- რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში ცხადად ჩანდეს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობა;
- ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან პროგრამისა და სილაბუსების შესაბამისობაში მოყვანა.
- პოტენციურ დამსაქმებლების ჩართულობა;
- რეკომენდებულია შემოქმედებითი ტურის თითოეული კომპონენტის შეფასების ადეკვატურობის გამყარების მიზნით, ყოველი კრიტერიუმისთვის თვალსაჩინოდ გაიწეროს შეფასების ქულათა დიაპაზონი;
- რეკომენდებულია პროგრამის ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა.
- რეკომენდებულია უფრო ლოგიკურად იყოს გააზრებული და ზუსტად განისაზღვროს დამშვების წინაპირობები ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის, კერძოდ:
  - სასწავლო კურსისთვის „აზომვითი პრაქტიკა“. ასევე რეკომენდებულია ამ კურსის სილაბუსში ზუსტად გაიწეროს პრაქტიკის გავლის ვადები;
  - სასწავლო კურსისთვის „ლანდშაფტური არქიტექტურის საფუძვლები“;
  - სასწავლო კურსისთვის „ინტერიერის დიზაინის საფუძვლები“;
  - სასწავლო კურსისთვის „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-2).

- რეკომენდებულია სასწავლო კურსს „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-1), რომელსაც ამჟამად დაშვების წინაპირობა არ გააჩნია, წინაპირობად განესაზღვროს კურსი „არქიტექტურული კონსტრუქციები“.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაშვების წინაპირობად განესაზღვროს „არქიტექტურული გეგმარება“ კოდით B3b15-5.
- რეკომენდებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების (გრაფიკული პროგრამების) შესწავლა იწყებოდეს AutoCAD-ის და ორგანოზომილებიანი გრაფიკული პროგრამების adobe photoshop-ისა და CorelDRAW-ს საბაზისო საკითხების გაცნობით და შემდეგ ისწავლებოდეს პროგრამით გათვალისწინებული, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები (Revit architecture და Autodesk 3ds Max). ასევე შესაბამისად უნდა შეიცვალოს მათი დაშვების წინაპირობები.
- რეკომენდებულია არჩევითი ბლოკების/საგნების ნუსხა გადაიხედოს დეტალურად და დაკომპლექტდეს პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად.
- პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/36-ის, ასევე ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რეკომენდებულია პროგრამაში სახელოვნებო კურსების ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ტექნიკური და საინჟინრო კურსების წილი.
- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/36-ის შესაბამისად რეკომენდებულია, კურიკულუმს დაემატოს კურსი „ერგონომიკა“, რაც მეტად გაამდიდრებს პროგრამას და სტუდენტებს დაეხმარება განსხვავებული ასაკისა და სქესის ადამიანების ერგონომიკული თავისებურებების (სხეულის ზომები, სახსრების მოძრაობის დიაპაზონი, კუნთების ძალა, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა და სხვ.) გათვალისწინებით ჰარმონიული გარემოს შექმნაში, მით უფრო რომ კურსის „ინტერიერის დიზაინის საფუძვლები“ სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად მოხსენიებულია ერგონომიკა.
- პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს აკრედიტაციაზე წარმოდგენილი ბაკალავრიატის პროგრამის „არქიტექტურა“ კატალოგი;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსების ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის მიზანი, უფრო ლაკონურად, მოკლედ და გასაგებად იყოს ჩამოყალიბებული, შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა მიზანს ემსახურება ეს კურსი და არა იმის შესახებ, თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ საგნის შესწავლის შემდეგ ან რას ნიშნავს ესა თუ ის ტერმინი. კერძოდ, დასახვეწია შემდეგი სასწავლო კურსების მიზნები:
  - „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები“,
  - „არქიტექტურული მასალათმცოდნეობა“
  - „მაკეტირება“,
  - „მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია“,
  - „მშენებლობის ორგანიზაციის საფუძვლები“,
  - „რეკონსტრუქცია-რესტავრაცია“,

- „ქანდაკება“;
- „ურბანული მემკვიდრეობის დაცვა“;
- „ქალაქთმშენებლობის საფუძვლები“;
- „ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები“;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-1) მოხდეს სალექციო და პრაქტიკული მუშაობის თემატიკის გაშლა. ამასთან უნდა გადაიხედოს კურსის შინაარსიც.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „შენობების საინჟინრო აღჭურვა“ მოხდეს სემინარის თემატიკის გაშლა. ასევე მიზანშეწონილია ამ კურსს გაეზარდოს კრედიტი, რადგან რეალურად იგი აერთიანებს 3 კურსს - წყალმომარაგება-წყალარინებას, თბო-აირ მომარაგებას, ელექტრომომარაგებას.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები“ სილაბუსში გადაიხედოს კურსის შინაარსი, კერძოდ არქიტექტურულ ენის დაუფლების და არქიტექტურული ნახაზის წაკითხვის უნარის გამომუშავების მიზნით, მიზანშეწონილია რამდენიმე მეცადინეობა დაეთმოს არქიტექტურული გრაფიკის ელემენტების შესწავლას (კედელი, კარები, ფანჯარა, კიბე და ა.შ.).
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „არქიტექტურული გეგმარება“ კოდებით (B3b15-1, B3b15-2, B3b15-3, B3b15-4) სილაბუსებში სწავლებისა და სწავლის მეთოდების აქტივობებს დაემატოს - პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-1) და „შენობების საინჟინრო აღჭურვა“ სილაბუსებში განახლდეს მოძველებული სავალდებულო ლიტერატურა;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კოდით (B3b7-6) სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მიეთითოს სწავლების ენაზე შესრულებული სასწავლო მასალა.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „არქიტექტურული ფიზიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მიეთითოს ვალიდური ლიტერატურა.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „შესავალი სპეციალობაში“ სილაბუსში მითითებული რუსულენოვანი რიდერი „არქიტექტურული ორდერები ვინიოლას მიხედვით“ გადაითარგმნოს ქართულ ენაზე;
- რეკომენდებულია, გასწორდეს მემორანდუმის გაფორმებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზი. ასევე მემორანდუმებში მიზანშეწონილია ასახულ იქნას დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ სტუდენტთა კონკრეტული რაოდენობის მიღების მზაობა;
- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის უნივერსიტეტის მხრიდან მიიღონ მხარდაჭერა;
- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება თანამედროვე სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით (ტრენინგები)
- აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებში
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება
- საბიბლიოთეკო ელექტრონული ქსელის გამართვა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

- პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციაზე მაღალი კომპეტენციის პირი;
  - აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება თანამედროვე სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით (ტრენინგები)
  - აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებში
  - საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება.
- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- თვითშეფასების ანგარიშში ეწერა, რომ აბიტურიენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება საინფორმაციო ბუკლეტების საშუალებითაც და რომ უნივერსიტეტის წარმოდგენლები აწყობენ შეხვედრებს დასავლეთ საქართველოს სკოლებსა და რეგიონალურ რესურს ცენტრებში ბხსუ-ს სხვადასხვა პროგრამებზე ჩარიცხვის პირობების გაცნობის მიზნით. როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა ეს პრაქტიკა არ განხორციელებულა ბაკალავრიატის პროგრამისთვის „არქიტექტურა“. კარგი იქნება თუ აღნიშნული აქტივობები განხორციელდება წარმოდგენილი პროგრამისთვისაც, რაც ცალსახად ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების მოზიდვას პროგრამაზე, მისი დაშვების წინაპირობების მეტად გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას;
  - პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმის მიზნით, სასურველია მის შემადგენლობაში მყოფი, ერთიდაიგივე დასახელების სასწავლო კურსების განსხვავება ხდებოდეს არა მხოლოდ კოდის საშუალებით, არამედ მაგალითად გადანომრვით, კერძოდ, ნაცვლად კურსებისა „ხატვა“ კოდით (B3b1-1), „ხატვა“ კოდით (B3b1-2), „ხატვა“ კოდით (B3b1-2), „ხატვა“ კოდით (B3b1-4) იყოს „ხატვა 1“, „ხატვა 2“, „ხატვა 3“, „ხატვა 4“. იგივე ეხება ფერწერას, მხაზველობით გეომეტრიას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, არქიტექტურულ გეგმარებას. შესაძლებელია ასევე აღნიშნული სასწავლო კურსების დასახელებები დაკონკრეტდეს კურსიის შინაარსის მიხედვით.
  - სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, სასურველია პროგრამაში გაიწეროს არჩევითი ბლოკების/კურსების ჩამონათვალი და მათი არჩევის წესი.
  - პროგრამის მეტად მოქნილობის მიზნით, სასურველია პროგრამის სტრუქტურაში გაჩნდეს სპეციალობის არჩევითი საგნები.
  - პროგრამის ყველა კომპონენტის - შინაარსის, სტრუქტურის, სწავლის შედეგების ჰარმონიზაციის მიზნით, სასურველია უკეთ იკვეთებოდეს პროგრამის ხელმძღვანელის როლი;
  - არქიტექტურის დარგის აქტუალურ მიღწევებზე ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან, თუმცა ვთვლით, რომ სასურველი იქნებოდა მემორანდუმები გაფორმებულიყო არქიტექტურის პროგრამის განმახორციელებელ, საქართველოში მოქმედ, ყველა წამყვან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან, რაც ხელს შეუწყობდა ამ დაწესებულებათა პედაგოგების გამოცდილების გაცნობის მიზნით, მასტერკლასების, ვორქშოპების დაგეგმვას და განხორციელებას, ამ უნივერსიტეტებში უცხოელი



არქიტექტორების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (საჯარო ლექცია, მასტერკლასი, ვორქშოფი, სტუდიური მუშაობა და ა.შ) ბხუს სტუდენტების მონაწილეობას. ;

- უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე, მაგ. გეგმავს თანამშრომლობას ვროცლავის ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია ევროპის შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებთან ამ მიმართულებით უფრო აქტიური მუშაობა, მათთან გაცვლითი პრაქტიკის, ერთობლივი ვორქშოფების და ა.შ. განხორციელების ხელშეწყობა, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე სტუდენტებს ახლოს გაეცნონ საერთაშორისო გამოცდილებას;
- პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ მათგანს კარგად არ აქვს გათვინობიერებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანება N3-ით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები და მათი შესაბამისი აქტივობები. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პირები ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ სხვადასხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დებულებებს;
- სტუდენტთა სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების მეტად გამჭვირვალობის მიზნით, სასურველია უნივერსიტეტში დაინერგოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა;
- სასურველია უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა - შეფასება კოლეგების მიერ (ლექციაზე დასწრება) განხორციელებულ იქნას ბაკალავრიატის პროგრამა „არქიტექტურა“-ს ფარგლებში.
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, მარეგულირებელ დოკუმენტებზე და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელ სხვა საჭირო საკითხებზე ინფორმირებულობის, ხარისხის კულტურის დანერგვისა და განვითარების მიზნით, სასურველია საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება თვითშეფასების ანგარიშის შედგენაში ჩართულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან;
- სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პერიოდულად აწყობდეს სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრებს
- პროგრამის განვითარების მიზნებისთვის, სასურველია ისეთი გარე შეფასების მექანიზმის გამოყენება, რომლის დროსაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ექსპერტად შერჩეული მაპროფილებელი დარგის სპეციალისტი ახდენს პროგრამაზე რეცენზიის გაკეთებას;
- პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პროგრამის დადარებას ადგილობრივი და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ანალოგიურ პროგრამებთან.

თუმცა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია, პროგრამის დადარება მოხდეს ევროპის უსდ-ის მიერ განხორციელებულ მსგავს პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის გაუმჯობესებას, მასში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების პერსპექტივას.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრულ არჩევით საგნებში წარმოდგენილია გერმანული, იტალიური, ფრანგული, რუსული ენის კურსები, რომელთა საშუალებითაც, სტუდენტს 4 სემესტრის განმავლობაში შეუძლია სასურველი ენის შესწავლა A1.1-დონიდან B2.1-დონემდე. უცხოური ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით შემოთავაზებული ეს ვარიანტი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის;
- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა სწავლების VI სემესტრში 5 კვირის განმავლობაში, საპროექტო ორგანიზაციაში გაიაროს პრაქტიკა, რაც პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას პროფესიულ გარემოში პროფესიონალ არქიტექტორთა მუშაობაზე დაკვირვებით, კონკრეტული პრაქტიკული დავალებების შესრულებით, კიდევ უფრო დახვეწოს და განვიითაროს სწავლის პროცესში შეძენილი უნარები და კომპეტენციები;
- არქიტექტურული გეგმარების დასკვნით გამოცდაზე ყველა კურსის სტუდენტთა პროექტების გამოფენა ხდება ერთდროულად. ეს საშუალებას აძლევს უმცროს კურსელებს ისწავლონ უფროსკულსელთა გამოცდილების მაგალითზე, უფროსკურსელები კი თავის მხრივ მოტივირებულები არიან, რომ პროექტი წარმოადგინონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის ფარგლებში.

▪ განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p><b>1.1 პროგრამის მიზნები</b></p> <p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.</p> <p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“ შედგენილია შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტების გათვალისწინებით: საქართველოს კანონი ზოგადი განათლების შესახებ; საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ; განათლების და მეცნიერების სტრატეგია; ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო (მველი).</p> <p>პროგრამის ძირითადი მიზანია:</p> <p>სტუდენტებში სპეციალისტის თვისებების განვითარება, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღება არქიტექტურაში, მათი განხორციელების უნარი პრაქტიკულ საქმიანობაში, პრობლემების გადაწყვეტის სხვადასხვა გზების მოპოვება, შრომის ბაზარის მოთხოვნების დაკმაყოფილება.</p> <p>პროგრამის მიზნებში არ იკვეთება ევრო-დირექტივა 2005-36-ს მოთხოვნები და რეკომენდაციები სადაც კონკრეტულად არის მოცემული არქიტექტორის მომზადების კრიტერიუმები. პროგრამის მიზნებში სასურველია გათვალისწინებული იყოს რეკომენდაციაში მითითებული სურვილები.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ საგანმანათლებლო პროგრამა;</li> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ ბხსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი <a href="http://www.batu.edu.ge">www.batu.edu.ge</a> ;</li> <li>○ ინტერვიუს შედეგები</li> <li>○ ევრო-დირექტივა 2005-36</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში აისახოს ევრო-დირექტივა 2005-36-ს მოთხოვნები და რეკომენდაციები;</li> <li>○ რეკომენდებულია პროგრამის მიზნებში ცხადად ჩანდეს ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით სტუდენტთა ხელშეწყობა;</li> </ul>

<ul style="list-style-type: none"> <li>○ ადამიანსა და შენობა-ნაგებობას შორის, ასევე შენობა-ნაგებობასა და გარემოს შორის კავშირისა და ურთიერთმიმართების გაცნობიერება, აგრეთვე შენობა-ნაგებობებისა და სივრცის ადამიანის საჭიროებებსა და შესაბამის მასშტაბებზე მორგება;</li> <li>○ შენობა-ნაგებობების დაპროექტებასთან დაკავშირებული სამშენებლო და საინჟინრო პრობლემების ასევე სტრუქტურული დიზაინის/დაგეგმარების გაცნობიერება/გაგება;</li> <li>○ მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად ფიზიკური პრობლემების, ტექნოლოგიებისა და შენობა-ნაგებობების ფუნქციონირებასთან დაკავშირებული საკითხების, შიდა პირობების, კომფორტისა და კლიმატის უსაფრთხოების მიმართულებით შესაბამისი ცოდნა;</li> <li>○ საჭირო დიზაინერული უნარების ფლობა მომხმარებლის მოთხოვნების უზრუნველსაყოფად, ფინანსური და სამშენებლო რეგულაციების შეზღუდვების გათვალისწინებით;</li> <li>○ წარმოების, ორგანიზაციების, რეგულაციების და არქიტექტურული პროექტის /კონცეფციების ხორცშესხმასთან დაკავშირებული პროცედურებისა და დაგეგმარებასთან დაკავშირებული საკითხების შესაბამისი ცოდნა.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;</li> <li>➤ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;</li> <li>➤ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</li> </ul>
---

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მოწოდებული მასალებიდან და ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით, პროგრამაში ჩამოყალიბებული სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს, ცალკეული ეპიზოდების გარდა, კერძოდ: კრედიტების რაციონალური გადანაწილება (მაგალითისათვის: გეოდეზია 2 კრედიტი, სავლე პრაქტიკა 1 კრედიტი; არქიტექტურული კონსტრუქციები 2 კრედიტი.) ასევე სასწავლო კურსი კომპიუტერული ტექნოლოგიები საჭიროებს კონკრეტული კომპიუტერული პროგრამის განმარტებას და მათ თანმიმდევრულ სწავლებას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა კომპიუტერული პროგრამების არათანმიმდევრული სწავლება, რაც სტუდენტს ურთულეს მის ათვისებას და მათ შემდგომში პრაქტიკაში მოუწევთ ამ უნარების დახვეწა.

რაც შეეხება პოტენციური დამსაქმებლის პროგრამაში ჩართულობას, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი არასაკმარისი ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში. ინტერვიუზე წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი დამსაქმებელი და მისგან მიღებული ინფორმაცია პროგრამასთან დაკავშირებით იყო არასაკმარისი და არაკომპეტენტური, სასურველი იყო პროგრამის შემუშავებაში ჩართული ყოფილიყვნენ სხვა დამსაქმებლებიც, რაც პროგრამის განვითარებას შეუწყობდა ხელს.

პროგრამის შემუშავებაში, როგორც სტუდენტებთან ინტერვიუზე აღინიშნა, მონაწილეობს ყველა დაინტერესებული პირი - იღებენ უკუკავშირს ადმინისტრაციისაგან და ლექტორებისგან.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისათვის გამოიყენება აკადემიური პერსონალის, სტუდენტთა და დამსაქმებელთა გამოკითხვები, რომლებიც ტარდება ელექტრონული ფორმით. გათვალისწინებულია ლექციებსა და პრაქტიკულ მეცადინეობებზე დასწრება, რომელსაც ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. აღსანიშნავია, ინტერვიუს შედეგად გაირკვა, რომ უნივერსიტეტის მიერ აპრობირებული, ლექციებზე დასწრების ფორმა პროგრამა „არქიტექტურა“-სთვის არ განხორციელებულა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბხსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი [www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge) ;
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოსათან პროგრამისა და სილაბუსების შესაბამისობაში მოყვანა.
- პოტენციურ დამსაქმებლების ჩართულობა.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამით გათვალისწინებული ლექციების ჩატარების პერიოდული მონიტორინგის განხორციელება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული წესის მიხედვით.
- სასურველი იყო ინტერვიუზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წარმოედგინა იმ შედეგების ანალიზი, რომელიც მათ გააკეთეს გამოკითხვების გზით და სასწავლო

<p>პროცესის მონიტორინგით, ასევე პრობლემის გადაჭრის გზები (არსებობის შემთხვევაში).</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე „არქიტექტურა“ დაშვების წინაპირობები და პროცედურები შეესაბამება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და ასევე ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. პროგრამაზე ჩაირიცხებიან პირები, რომლებმაც გაიარეს კონკურსი შემოქმედებით ტურში და ერთიანი ეროვნული გამოცდები. პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ უფლება ჩაირიცხონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, გადიან მხოლოდ შემოქმედებით ტურს. შემოქმედებითი ტური ზემოაღნიშნულ საბაკალავრო პროგრამაზე ტარდება ხატვაში და ხაზვაში ეროვნულ გამოცდებამდე.

სტუდენტების მიღება ხორციელდება განსაზღვრული კონტინგენტის საფუძველზე, რომელსაც ამტკიცებს სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტისა და ბხსუ-ს აკადემიური საბჭო. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. თვითშეფასების ანგარიშში ასევე არის ჩანაწერი „აბიტურიენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება ასევე საინფორმაციო ბუკლეტების საშუალებით. უნივერსიტეტის წარმოდგენლები აწყობენ შეხვედრებს დასავლეთ საქართველოს სკოლებსა და რეგიონალურ რესურს ცენტრებში ბხსუ-ს სხვადასხვა პროგრამებზე ჩაირიცხვის პირობების გაცნობის მიზნით“, თუმცა როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა ეს პრაქტიკა არ განხორციელებულა ბაკალავრიატის პროგრამისთვის „არქიტექტურა“. კარგი იქნება თუ აღნიშნული აქტივობები განხორციელდება წარმოდგენილი პროგრამისთვისაც, რაც ცალსახად ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების მოზიდვას პროგრამაზე, მისი დაშვების წინაპირობების მეტად გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას.

პროგრამაში წარმოდგენილია შემოქმედებითი ტურის თითოეული საკონკურსო ნამუშევარის შეფასების კრიტერიუმები და შეფასების საერთო მაქსიმალური ქულა (100). მაგრამ ბუნდოვანია თუ როგორ ხდება აბიტურიენტის მიერ ამა-თუ იმ ქულის მიღება, რადგან შეფასების ფორმაში მოცემული, კრიტერიუმების შეფასების კომბინაციები არასრულყოფილია. რეკომენდებულია შემოქმედებითი ტურის თითოეული კომპონენტის შეფასების ადეკვატურობის გამყარების მიზნით, ყოველი კრიტერიუმისთვის თვალსაჩინოდ გაიწეროს შეფასების ქულათა დიაპაზონი.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან;
- ბხსუ-ს ვებგვერდი.

### რეკომენდაციები:

<ul style="list-style-type: none"> <li>რეკომენდებულია შემოქმედებითი ტურის თითოეული კომპონენტის შეფასების ადეკვატურობის გამყარების მიზნით, ყოველი კრიტერიუმისთვის თვალსაჩინოდ გაიწეროს შეფასების ქულათა დიაპაზონი.</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>თვითშეფასების ანგარიშში ეწერა, რომ აბიტურიენტებისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება საინფორმაციო ბუკლეტების საშუალებითაც და რომ უნივერსიტეტის წარმოდგენლები აწყობენ შეხვედრებს დასავლეთ საქართველოს სკოლებსა და რეგიონალურ რესურს ცენტრებში ბხსუ-ს სხვადასხვა პროგრამებზე ჩარიცხვის პირობების გაცნობის მიზნით. როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა ეს პრაქტიკა არ განხორციელებულა ბაკალავრიატის პროგრამისთვის „არქიტექტურა“. კარგი იქნება თუ აღნიშნული აქტივობები განხორციელდება წარმოდგენილი პროგრამისთვისაც, რაც ცალსახად ხელს შეუწყობს დაინტერესებული პირების მოზიდვას პროგრამაზე, მისი დაშვების წინაპირობების მეტად გამჭვირვალობას და ხელმისაწვდომობას.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="radio"/> გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</b></p> <p>პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“ თავისი შინაარსით, მოცულობითა და კომპლექტაციით შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს. პროგრამის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია ეყრდნობა ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედ „სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესს“. პროგრამა შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N 1205</p>



ბრძანებით დამტკიცებული, ბაკალავრიატის საფეხურისადმი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რომ 2019 წლის 10 აპრილს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ ბრძანებით დამტკიცდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო და სწავლის სფეროების კლასიფიკატორი, რეკომენდებულია პროგრამის ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა.

პროგრამა აგებულია ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად და მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 ECTS კრედიტის მოცულობა არის 25 სთ). პროგრამის შემადგენელი კომპონენტები შემდეგი პრინციპითაა დალაგებული:

სპეციალობის ძირითადი კურსები - 200 კრედიტი, მათ შორის საველე, აზომვითი, სამშენებლო ობიექტზე გასვლითი და საპროექტო პრაქტიკა (სულ 6 კრედიტი), და ასევე საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი);

საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები -15 კრედიტი;

არჩევითი ბლოკები/კურსები - 25 კრედიტი.

პროგრამის სასწავლო გეგმა გარკვეულ წილად ლოგიკური თანმიმდევრობით არის აგებული, დაცულია მარტივიდან რთულზე, ზოგადიდან კონკრეტულზე თანდათანობით გადასვლის პრინციპი - საბაზისო და გაცნობითი ხასიათის სასწავლო კურსებს მოსდევს სპეციალობის კურსები. თუმცა, ის ფაქტი, რომ პროგრამის ძირითადი სპეციალობის 61 კურსიდან 26 არ წარმოადგენს არც ერთი სასწავლო კურსის დაშვების წინაპირობას მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამის სტრუქტურა გადასახედა. ასე მაგალითად, ზოგიერთ სასწავლო კურსში რეკომენდებულია უფრო ლოგიკურად იყოს გააზრებული და ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობები, კერძოდ ამჟამად:

- სასწავლო კურსის „აზომვითი პრაქტიკა“ დაშვების წინაპირობაა სასწავლო კურსი „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები“, მაშინ როდესაც, ორივე კურსი ისწავლება მე-2 სემესტრში. ასევე რეკომენდებულია „აზომვითი პრაქტიკის“ სილაბუსში ზუსტად გაიწეროს პრაქტიკის გავლის ვადები.
- სასწავლო კურსს „ლანდშაფტური არქიტექტურის საფუძვლები“ არ გააჩნია დაშვების წინაპირობა, თუმცა სილაბუსის მიხედვით, პრაქტიკულ მეცადინეობებზე სტუდენტს უწევს მოცემული ტერიტორიის ტოპოგეგმის მიხედვით ფუნქციონალური პარკის დაპროექტება, ზონირების დამუშავება, ესკიზებზე მუშაობა და სხვ.
- სასწავლო კურსს „ინტერიერის დიზაინის საფუძვლები“ არ გააჩნია დაშვების წინაპირობა, მაშინ როდესაც კურსის სილაბუსის მიხედვით, სტუდენტი ახდენს სივრცის ანაზომი გეგმის გამოხაზვას ყველა საინჟინრო კომუნიკაციების დატანით, მუშაობს ინტერიერის სივრცის ესკიზებზე, დამუშავებული ესკიზის მიხედვით (ელექტრონულად) ახდენს დიზაინ-პროექტის გამოხაზვას და სხვ.
- სასწავლო კურსის „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-2) დაშვების წინაპირობად მითითებულია ისეთი კოდი რომელიც პროგრამაში საერთოდ არაა (B3b17-1).
- სასწავლო კურსს „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-1), რომელსაც ამჟამად დაშვების წინაპირობა არ გააჩნია, მიზანშეწონილია წინაპირობად განესაზღვროს კურსი „არქიტექტურული კონსტრუქციები“.
- სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ ამჟამად კურიკულუმის მიხედვით დაშვების წინაპირობა არ გააჩნია, თუმცა კურსის სილაბუსში და უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების მარეგულირებელ წესში წერია, რომ დაცვაზე დასაშვებად სტუდენტს

ათვისებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსი (230 კრედიტი). მაგრამ მიგვაჩნია, რომ მარტო დაცვას კი არა, თავად კურსსაც უნდა გააჩნდეს დაშვების წინაპირობა, რადგან არის იმის ალბათობა, რომ სტუდენტს აქვს წინა სემესტრებში დავალიანება, მაგ. არ გაუვლია მე-6 და/ან მე-7 სემესტრების კურსი „არქიტექტურული გეგმარება“, მას ამ შემთხვევაში სტუდენტის სტატუსი შენარჩუნებული აქვს და შეუძლია გეგმიური საგნების პარალელურად აითვისოს კიდევ გარკვეული კრედიტები, არაუმეტეს 75 კრედიტისა. ამდენად, ვთვლით, რომ რეკომენდებულია, კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაშვების წინაპირობად განესაზღვროს „არქიტექტურული გეგმარება“ კოდით B3b15-5.

სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოთხოვნების გათვალისწინებით, პროგრამაში გაძლიერებულად ისწავლება კომპიუტერული ტექნოლოგიები. ისწავლების პირველ სემესტრში ესაა საოფისე კომპიუტერული ტექნოლოგიები, მე-3 და მე-4 სემესტრებში ისწავლება რევიტის საბაზისო საკითხები, რევიტის ოჯახის ნაირსახეობები, მე-5 სემესტრი ითვალისწინებს Revit architecture 2010-ის სრულყოფილად შესწავლას, მე-6 და მე-7 სემესტრებში ხდება Autodesk 3ds Max -ის ფუნქციების და დანიშნულების მიმოხილვა თანამედროვე არქიტექტურაში, მისი ინტერფეისის ძირითადი ღილაკების გაცნობა, მოდელირების მეთოდების ბაზისებში გარკვევა, მოდელებისათვის სასურველი ტექსტურების მინიჭება, იმპორტირებული მოდელებისა და საპროექტო ობიექტებისათვის სასურველი ანტურაჟის დამატება და ა.შ. ხოლო მე-8 სემესტრში შეისწავლება AutoCAD-ის და ორგანოზომილებიანი გრაფიკული პროგრამების adobe photoshop-ისა და CorelDRAW-ს საბაზისო საკითხები. რეალურად, მე-8 სემესტრში შესასწავლად შეთავაზებული კურსი წარმოადგენს მის წინ შესასწავლი კურსებისთვის ბაზას. ამდენად, რეკომენდებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების შესწავლა დაიწყოს სტუდენტმა AutoCAD-ის და ორგანოზომილებიანი გრაფიკული პროგრამების adobe photoshop-ისა და CorelDRAW-ს საბაზისო საკითხების გაცნობით და შემდეგ შეისწავლოს პროგრამით გათვალისწინებული, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები. ასევე შესაბამისად უნდა შეიცვალოს მათი დაშვების წინაპირობები.

პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია არჩევითი ბლოკები/კურსები, რომლებიც, როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გაირკვა მოიაზრება, როგორც თავისუფალი კომპონენტი. თუმცა განსახილველად წარმოდგენილი არჩევითი ბლოკების/კურსების გაცნობისას გამოჩნდა, რომ ზოგიერთ სასწავლო კურსს, მაგ. „პროექტირების მენეჯმენტს“ დაშვების წინაპირობად განსაზღვრული აქვს „მენეჯმენტისა და მარკეტინგის საფუძვლები“, რაც საერთოდ არ ისწავლება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. ასევე არჩევით, 20 კრედიტიან, ბლოკებად შეთავაზებული კომპონენტების გასაველად განსაზღვრული კრედიტები არ არის შესაბამისობაში განსახილველი პროგრამის კურიკულუმთან (მაგ. არჩევითი ბლოკი, რომელიც მოიცავს კურსებს: „კულტურული ტურიზმი“, „ტურიზმის მენეჯმენტი“, „ტურიზმის მარკეტინგი“, „საექსკურსიო საქმე“ - ითვალისწინებს მე-5 და მე-6 სემესტრებში 10-10 კრედიტს; არჩევითი ბლოკი - მინანქარი, რომელიც მოიცავს კურსებს: „მინანქრის კომპოზიცია“, „მასალაში შესრულება“ - ითვალისწინებს 5 და 15 კრედიტს - პროგრამაში კი არჩევითი ბლოკების/საგნებისათვის მე-5,6,7,8 სემესტრებში დათმობილია 5-5-5-10 კრედიტი). ამ ჭრილში რეკომენდებულია არჩევითი ბლოკების/საგნების ნუსხა დაკომპლექტდეს პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად.

ასევე გასათვალისწინებელია ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/36 „პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს წევრ ქვეყნებში პროფესიული კვალიფიკაციის საკითხებს. ამ დირექტივით რეგულირდება არქიტექტურის პროფესიის მინიმალური მოსამზადებელი პირობები. აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 46 (არქიტექტორების მომზადება) გვამცნობს თუ რას უნდა მოიცავდეს არქიტექტორის მომზადება. ამ მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად სასწავლო პროგრამა უნდა ინარჩუნებდეს არქიტექტურის სწავლების თეორიულ და პრაქტიკულ ასპექტებს შორის ბალანსს და უნდა უზრუნველყოფდეს სულ მცირე შემდეგი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას, მათ შორის: შენობა-ნაგებობების დაპროექტებასთან დაკავშირებული სამშენებლო და საინჟინრო პრობლემების ასევე სტრუქტურული დიზაინის/დაგეგმარების გაცნობიერება/გაგებას. ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია, რომ პროგრამაში უფრო უნდა გაძლიერდეს ტექნიკური და საინჟინრო კურსები. ამჟამად, მსოფლიოს და ქართულ ხელოვნების ისტორიას, ასევე არქიტექტურის ისტორიას პროგრამაში ეთმობა ძირითადი სპეციალობის 200 კრედიტიდან 27 კრედიტი, მაშინ როდესაც მათემატიკას ეთმობა მხოლოდ 3 კრედიტი, გეოდეზიას 2 კრედიტი, სავლელ პრაქტიკას 1 კრედიტი, შენობების საინჟინრო აღჭურვას, რომელიც თავის თავში აერთიანებს წყალმომარაგება-წყალარინებას, თბო-აირ მომარაგებას, ელექტრომომარაგებას - 3 კრედიტი. ამ ჭრილში რეკომენდებულია პროგრამაში სახელოვნებო კურსების ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ტექნიკური და საინჟინრო კურსების წილი, მით უფრო, რომ 2019 წლის 10 აპრილს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ ეროვნულ კვალიფიკაციების ჩარჩოში არქიტექტურის ფართო სფეროდ განისაზღვრა „07 ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა“.

ასევე ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის ზემოთხსენებული დირექტივის თანახმად სასწავლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს შემდეგი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას: ადამიანსა და შენობა-ნაგებობას შორის, ასევე შენობა-ნაგებობასა და გარემოს შორის კავშირისა და ურთიერთმიმართების გაცნობიერებას, აგრეთვე შენობა-ნაგებობებისა და სივრცის ადამიანის საჭიროებებსა და შესაბამის მასშტაბებზე მორგებას. ამ კონტექსტში რეკომენდებულია კურიკულუმს დაემატოს კურსი „ერგონომიკა“, რაც მეტად გაამდიდრებს პროგრამას და სტუდენტებს დაეხმარება განსხვავებული ასაკისა და სქესის ადამიანების ერგონომიკული თავისებურებების (სხეულის ზომები, სახსრების მოძრაობის დიაპაზონი, კუნთების ძალა, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა და სხვ.) გათვალისწინებით ჰარმონიული გარემოს შექმნაში, მით უფრო რომ კურსის „ინტერიერის დიზაინის საფუძვლები“ სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად მოხსენიებულია ერგონომიკა.

პროგრამის შედგენაში ჩართული არიან პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები. პროგრამის შედგენისას გარკვეულ წილად გათვალისწინებულია დარგის თანამედროვე მიღწევები, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა მოთხოვნები.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამის მოკლე კატალოგის განთავსებას ვებგვერდზე, თუმცა ამჟამად, განთავსებულია წარმოდგენილი პროგრამისგან განსხვავებული ვერსია. პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს აკრედიტაციაზე წარმოდგენილი ბაკალავრიატის პროგრამის „არქიტექტურა“ კატალოგი.

### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესების მარეგულირებელი წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;
- ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელთან;
- ბხსუ-ს ვებგვერდი.

### რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია პროგრამის ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა.
- რეკომენდებულია უფრო ლოგიკურად იყოს გააზრებული და ზუსტად განისაზღვროს დაშვების წინაპირობები ზოგიერთი სასწავლო კურსისთვის, კერძოდ: სასწავლო კურსისთვის „აზომვითი პრაქტიკა“. ასევე რეკომენდებულია ამ კურსის სილაბუსში ზუსტად გაიწეროს პრაქტიკის გავლის ვადები; სასწავლო კურსისთვის „ლანდშაფტური არქიტექტურის საფუძვლები“; სასწავლო კურსისთვის „ინტერიერის დიზაინის საფუძვლები“; სასწავლო კურსისთვის „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-2).
- რეკომენდებულია სასწავლო კურსს „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-1), რომელსაც ამჟამად დაშვების წინაპირობა არ გააჩნია, წინაპირობად განესაზღვროს კურსი „არქიტექტურული კონსტრუქციები“.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსს „საბაკალავრო ნაშრომი“ დაშვების წინაპირობად განესაზღვროს „არქიტექტურული გეგმარება“ კოდით B3b15-5.
- რეკომენდებულია კომპიუტერული ტექნოლოგიების (გრაფიკული პროგრამების) შესწავლა იწყებოდეს AutoCAD-ის და ორგანოზომილებიანი გრაფიკული პროგრამების adobe photoshop-ისა და CoreIDRAW-ს საბაზისო საკითხების გაცნობით და შემდეგ ისწავლებოდეს პროგრამით გათვალისწინებული, კომპიუტერული გრაფიკული პროგრამები (Revit architecture და Autodesk 3ds Max). ასევე შესაბამისად უნდა შეიცვალოს მათი დაშვების წინაპირობები.
- რეკომენდებულია არჩევითი ბლოკების/საგნების ნუსხა გადაიხედოს დეტალურად და დაკომპლექტდეს პროგრამის კურიკულუმის შესაბამისად.
- პროფესიული კვალიფიკაციების აღიარების შესახებ ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/36-ის, ასევე ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, რეკომენდებულია პროგრამაში სახელოვნებო კურსების ხვედრითი წილის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს ტექნიკური და საინჟინრო კურსების წილი.
- ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2005 წლის 7 სექტემბრის დირექტივა 2005/36-ის შესაბამისად რეკომენდებულია, კურიკულუმს დაემატოს კურსი „ერგონომიკა“, რაც მეტად გაამდიდრებს პროგრამას და სტუდენტებს დაეხმარება განსხვავებული ასაკისა და სქესის ადამიანების ერგონომიკული თავისებურებების

<p>(სხეულის ზომები, სახსრების მოძრაობის დიაპაზონი, კუნთების ძალა, ფსიქოლოგია, ფიზიოლოგია, ჰიგიენა და სხვ.) გათვალისწინებით ჰარმონიული გარემოს შექმნაში, მით უფრო რომ კურსის „ინტერიერის დიზაინის საფუძვლები“ სწავლის შედეგების შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად მოხსენიებულია ერგონომიკა.</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის შესახებ ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდეს აკრედიტაციაზე წარმოდგენილი ბაკალავრიატის პროგრამის „არქიტექტურა“ კატალოგი</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• პროგრამის სტრუქტურის უკეთ აღქმის მიზნით, სასურველია მის შემადგენლობაში მყოფი, ერთიდაიგივე დასახელების სასწავლო კურსების განსხვავება ხდებოდეს არა მხოლოდ კოდის საშუალებით, არამედ მაგალითად გადანომრვით, კერძოდ, ნაცვლად კურსებისა „ხატვა“ კოდით (B3b1-1), „ხატვა“ კოდით (B3b1-2), „ხატვა“ კოდით (B3b1-2), „ხატვა“ კოდით (B3b1-4) იყოს „ხატვა 1“, „ხატვა 2“, „ხატვა 3“, „ხატვა 4“. იგივე ეხება ფერწერას, მხაზველობით გეომეტრიას, კომპიუტერულ ტექნოლოგიებს, არქიტექტურულ გეგმარებას. შესაძლებელია ასევე აღნიშნული სასწავლო კურსების დასახელებები დაკონკრეტდეს კურსის შინაარსის მიხედვით.</li> <li>• სტუდენტთა ინფორმირების მიზნით, სასურველია პროგრამაში გაიწეროს არჩევითი ბლოკების/კურსების ჩამონათვალი და მათი არჩევის წესი.</li> <li>• პროგრამის მეტად მოქნილობის მიზნით, სასურველია პროგრამის სტრუქტურაში გაჩნდეს სპეციალობის არჩევითი საგნები.</li> <li>• პროგრამის ყველა კომპონენტის - შინაარსის, სტრუქტურის, სწავლის შედეგების ჰარმონიზაციის მიზნით, სასურველია უკეთ იკვეთებოდეს პროგრამის ხელმძღვანელის როლი</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პროგრამის სტრუქტურით განსაზღვრულ არჩევით საგნებში წარმოდგენილია გერმანული, იტალიური, ფრანგული, რუსული ენის კურსები, რომელთა საშუალებითაც, სტუდენტს 4 სემესტრის განმავლობაში შეუძლია სასურველი ენის შესწავლა A1.1-დონიდან B2.1-დონემდე. უცხოური ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით შემოთავაზებული ეს ვარიანტი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა საერთაშორისო პროექტებში სტუდენტთა ჩართულობისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის.</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p><input type="checkbox"/> გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კურსების ერთობლიობა უყალიბებს კურსდამთავრებულს იმ დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, რომელიც აუცილებელია არქიტექტურის სფეროში დასაქმებისთვის. პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული ძირითადი სპეციალობის სასწავლო კურსები ძირითადად ორიენტირებულია თეორიული ცოდნის შეძენაზე, ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებაზე და დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე, ასევე შემოქმედებითი უნარების განვითარების ხელშეწყობაზე. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, ყოველი სასწავლო კურსისთვის, მისი სპეციფიკის, შინაარსის გათვალისწინებით, განსაზღვრულია კურსის მოცულობა კრედიტებში, საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა და მათ შორის თანაფარდობა. პროგრამაში არის 2, 3, 4, 5, 6 კრედიტიანი სასწავლო კურსები, ასევე 1 და 2 კრედიტიანი პრაქტიკის კომპონენტები და 10 კრედიტიანი საბაკალავრო ნაშრომი.

სასწავლო კურსების სწავლის შედეგები ძირითადად შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თუმცა, სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები აღწერილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის N 1206 ბრძანებით დამტკიცებული, ბაკალავრიატის საფეხურისადმი ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მოთხოვნების შესაბამისად. რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსების ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან (მინისტრის N69/წ ბრძანება) შესაბამისობაში მოყვანა.

სასწავლო კურსების სილაბუსების ნაწილში კურსის მიზნები საჭიროებს ადეკვატურ ფორმულირებას, უფრო ლაკონურად, მოკლედ და გასაგებად ჩამოყალიბებას. მიზანი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა მიზანს ემსახურება ეს კურსი და არა იმის შესახებ, თუ რა ევოლუცია სტუდენტს ამ საგნის შესწავლის შემდეგ ან რას ნიშნავს ესა თუ ის ტერმინი. კერძოდ, რეკომენდებულია დასახვეწოს შემდეგი სასწავლო კურსების მიზნები:

- „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები“,
- „არქიტექტურული მასალათმცოდნეობა“,
- „მაკეტირება“,
- „მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია“,
- „მშენებლობის ორგანიზაციის საფუძვლები“,
- „რეკონსტრუქცია-რესტავრაცია“,
- „ქანდაკება“,

- „ურბანული მემკვიდრეობის დაცვა“,
- „ქალაქთმშენებლობის საფუძვლები“,
- „ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები“.

სასწავლო კურსების სილაბუსების ნაწილში რეკომენდებულია სალექციო, პრაქტიკული თუ სასემინარო თემატიკის გაშლა, შინაარსის გადახედვა, კერძოდ:

- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-1) მოხდეს სალექციო და პრაქტიკული მუშაობის თემატიკის გაშლა, რათა სტუდენტთათვის უფრო ცხადი გახდეს შესასრულებელი სამუშაოს შინაარსი, ამასთან უნდა გადაიხედოს კურსის შინაარსიც (მაგ. მე-4 მეცადინეობაზე განიხილება სამშენებლო ფიზიკისა და აკუსტიკის საკითხები, რაც კურსის სწავლის შედეგების მიღწევისთვის არ არის სავალდებულო, მით უფრო, რომ პროგრამით გათვალისწინებულია ცალკე კურსი „არქიტექტურული ფიზიკა“).
- რეკომენდებულია სასწავლო კურსში „შენობების საინჟინრო აღჭურვა“ მოხდეს სემინარის თემატიკის გაშლა, რათა სტუდენტმა უფრო ნათლად აღიქვას სემინარზე განსახილველი თემის შინაარსი, ასევე მიზანშეწონილია კურსს გაეზარდოს კრედიტი, რადგან რეალურად იგი აერთიანებს 3 კურსს - წყალმომარაგება-წყალარინებას, თბო-აირ მომარაგებას, ელექტრომომარაგებას.
- რეკომენდებულია სასწავლო კურსის „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები“ სილაბუსში გადაიხედოს კურსის შინაარსი, კერძოდ რამდენიმე მეცადინეობა დაეთმოს არქიტექტურული გრაფიკის ელემენტების შესწავლას (კედლის, კარების, ფანჯრის, კიბის და ა.შ. გამოხაზვა), რათა სტუდენტი დაეუფლოს არქიტექტურულ ენას და შეძლოს არქიტექტურული ნახაზის წაკითხვა.

ასევე რეკომენდებულია სასწავლო კურსების „არქიტექტურული გეგმარება“ კოდებით (B3b15-1, B3b15-2, B3b15-3, B3b15-4) სილაბუსებში სწავლებისა და სწავლის მეთოდების აქტივობებს დაემატოს - პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.

პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა. სასწავლო კურსებით გათვალისწინებული სავალდებულო სასწავლო მასალა უმეტეს შემთხვევაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის. სასწავლო კურსების სილაბუსების უმეტეს ნაწილში მითითებულია პედაგოგის მიერ მომზადებული ქართულ ენაზე შესრულებული რიდერები, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, თუმცა შერჩევითი პრინციპით ლიტერატურის გადამოწმების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ზოგ შემთხვევაში სავალდებულო ლიტერატურა გასაახლებელია, კერძოდ:

- სასწავლო კურსების „კონსტრუქციები“ - კოდი (B3b18-1) და „შენობების საინჟინრო აღჭურვა“ სილაბუსებში - სავალდებულო ლიტერატურა მოძველებულია,
- სასწავლო კურსის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კოდი (B3b7-6) სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია მხოლოდ უცხოურენოვანი სახელმძღვანელოები,
- სასწავლო კურსის „არქიტექტურული ფიზიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია არავალიდური ლიტერატურა,
- სასწავლო კურსის „შესავალი სპეციალობაში“ სილაბუსში მითითებული რიდერი „არქიტექტურული ორდერები ვინიოლას მიხედვით“ რუსულენოვანია.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან.

**რეკომენდაციები:**

- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების სილაბუსების ახალ კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და სწავლების სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანა;
- რეკომენდებულია, ზოგიერთი სასწავლო კურსის მიზანი, უფრო ლაკონურად, მოკლედ და გასაგებად იყოს ჩამოყალიბებული, შეიცავდეს ინფორმაციას იმის შესახებ თუ რა მიზანს ემსახურება ეს კურსი და არა იმის შესახებ, თუ რა ეცოდინება სტუდენტს ამ საგნის შესწავლის შემდეგ ან რას ნიშნავს ესა თუ ის ტერმინი. კერძოდ, დასახვეწია შემდეგი სასწავლო კურსების მიზნები:  
 „არქიტექტურული კომპოზიციის საფუძვლები“,  
 „არქიტექტურული მასალათმცოდნეობა“  
 „მაკეტირება“,  
 „მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია“,  
 „მშენებლობის ორგანიზაციის საფუძვლები“,  
 „რეკონსტრუქცია-რესტავრაცია“,  
 „ქანდაკება“,  
 „ურბანული მემკვიდრეობის დაცვა“,  
 „ქალაქთმშენებლობის საფუძვლები“,  
 „ქალაქთმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები“;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-1) მოხდეს სალექციო და პრაქტიკული მუშაობის თემატიკის გაშლა. ამასთან უნდა გადაიხედოს კურსის შინაარსიც.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსში „შენობების საინჟინრო აღჭურვა“ მოხდეს სემინარის თემატიკის გაშლა. ასევე მიზანშეწონილია ამ კურსს გაეზარდოს კრედიტი, რადგან რეალურად იგი აერთიანებს 3 კურსს - წყალმომარაგება-წყალარინებას, თბო-აირ მომარაგებას, ელექტრომომარაგებას.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „არქიტექტურული გეგმარების საფუძვლები“ სილაბუსში გადაიხედოს კურსის შინაარსი, კერძოდ არქიტექტურულ ენის დაუფლების და არქიტექტურული ნახაზის წაკითხვის უნარის გამომუშავების მიზნით, მიზანშეწონილია რამდენიმე მეცადინეობა დაეთმოს არქიტექტურული გრაფიკის ელემენტების შესწავლას (კედელი, კარები, ფანჯარა, კიბე და ა.შ.).
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „არქიტექტურული გეგმარება“ კოდებით (B3b15-1, B3b15-2, B3b15-3, B3b15-4) სილაბუსებში სწავლებისა და სწავლის მეთოდების აქტივობებს დაემატოს - პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია.
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსების „კონსტრუქციები“ - კოდით (B3b18-1) და „შენობების საინჟინრო აღჭურვა“ სილაბუსებში განახლდეს მოძველებული სავალდებულო ლიტერატურა;
- რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ კოდით (B3b7-6) სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურად მიეთითოს სწავლების ენაზე შესრულებული სასწავლო მასალა.



<ul style="list-style-type: none"> <li>რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „არქიტექტურული ფიზიკა“ სილაბუსში სავალდებულო ლიტერატურაში მიეთითოს ვალიდური ლიტერატურა.</li> <li>რეკომენდებულია, სასწავლო კურსის „შესავალი სპეციალობაში“ სილაბუსში მითითებული რუსულენოვანი რიდერი „არქიტექტურული ორდერები ვინიოლას მიხედვით“ გადაითარგმნოს ქართულ ენაზე</li> </ul>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არქიტექტურის დარგის აქტუალურ მიღწევებზე ხელმისაწვდომობის გაფართოების მიზნით, უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელთან, თუმცა ვთვლით, რომ სასურველი იქნებოდა მემორანდუმები გაფორმებულიყო არქიტექტურის პროგრამის განმახორციელებელ, საქართველოში მოქმედ, ყველა წამყვან უმაღლეს სასწავლო დაწესებულებასთან, რაც ხელს შეუწყობდა ამ დაწესებულებათა პედაგოგების გამოცდილების გაცნობის მიზნით, მასტერკლასების, ვორქშოპების დაგეგმვას და განხორციელებას, ამ უნივერსიტეტებში უცხოელი არქიტექტორების მიერ ჩატარებულ სხვადასხვა ღონისძიებებში (საჯარო ლექცია, მასტერკლასი, ვორქშოპი, სტუდიური მუშაობა და ა.შ) ბზუს სტუდენტების მონაწილეობას.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input checked="" type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</b></p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საბაკალავრო პროგრამა „არქიტექტურა“ უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის, როგორც პრაქტიკული, ისე შემოქმედებითი უნარების გამომუშავებას. პროგრამის სხვადასხვა, შინაარსობრივად თანმიმდევრული, სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებულია შესაბამისი მეთოდები და აქტივობები, რომლებიც მთლიანობაში ხელს უწყობს სტუდენტების, როგორც კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, ისე</p>

პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას. სწავლა-სწავლების კომპლექსური მეთოდოლოგიური მიდგომები მიმართულია სტუდენტში არქიტექტურის მიმართულებით პროფესიური უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციების გამომუშავებაზე.

სტუდენტის კვლევითი, პრაქტიკული და შემოქმედებითი უნარების განვითარებას, მათი პროგრესის დონის დემონსტრირებას უზრუნველყოფს „საბაკალავრო ნაშრომი“, რომელიც თავისი შინაარსით პროგრამის დასკვნითი კომპონენტია. საბოლოო პროდუქტი შესაძლებლობას იძლევა შემოწმდეს პროგრამაზე სწავლისას მიღებული უნარ-ჩვევებისა და პრაქტიკაში მათი რეალიზების შესაძლებლობები.

სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია პროფესიული პრაქტიკის კომპონენტიც - საველე, აზომვითი, სამშენებლო ობიექტზე გასვლითი და საპროექტო. სწავლის შედეგების შესაბამისად ორგანიზებული და დაგეგმილი პრაქტიკის კომპონენტი ხელს უწყობს, სტუდენტის მიერ პროგრამის ფარგლებში გავლილი მასალის, ერთი სასწავლო კურსის მეორესთან ლოგიკური კავშირის გააზრებას, ასევე პროფესიონალ არქიტექტორთა სამუშაო პროცესზე დაკვირვებით, პროცესში თანამონაწილეობით და დამოუკიდებელი მუშაობით პრაქტიკული უნარების განვითარებას და ზოგადად, პროფესიულ ზრდას. პრაქტიკას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხელმძღვანელობს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც შემდგომში ახდენს სტუდენტის საქმიანობის შეფასებას. საპროექტო პრაქტიკის კომპონენტი, ხორციელდება უნივერსიტეტის მიერ სხვადასხვა საპროექტო ორგანიზაციასთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე. თუმცა წარმოდგენილი მემორანდუმები მოწოდებულია ტექნიკური ხარვეზით, კერძოდ, ექვსივე მემორანდუმში პირველ გვერდზე წერია, რომ „უმაღლესი სახელოვნებო განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ძირითადი პრინციპების, სწავლებისა და პრაქტიკის ინტეგრირების ერთობლივი კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების განხორციელების მიზნით სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი და საერთაშორისო ბიზნესის განვითარების და ინვესტიციათა ხელშეწყობის ცენტრი თანხმდებიან თანამშრომლობაზე“. რეკომენდებულია, გასწორდეს მემორანდუმის გაფორმებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზი. ასევე მემორანდუმებში მიზანშეწონილია ასახულ იქნას დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ სტუდენტთა კონკრეტული რაოდენობის მიღების მზაობა.

უნივერსიტეტში მოქმედი პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული მხარაჭერის სამსახური, აკადემიური პერსონალი, მოწვეული სპეციალისტები სტუდენტებს ეხმარებიან მომავალ სპეციალობასთან დაკავშირებული და მათთვის საინტერესო საკითხების გარკვევაში, შემოქმედებითი პრაქტიკული პროექტების ან პრეზენტაციების მომზადებაში. სტუდენტთა შემოქმედებითი უნარების განვითარების მიზნით, უნივერსიტეტში ეწყობა სტუდენტთა ნამუშევრების გამოფენები.

სტუდენტური თვითმმართველობა აწყობს შეხვედრებს, დისკუსიებს, სპორტულ, კულტურულ, გასართობ და სხვ. ღონისძიებებს, რომლებიც ფინანსდება ბხსუ-ს ბიუჯეტიდან. ზემოაღნიშნული გარემოებები უზრუნველყოფენ შემოქმედებით და შემეცნებით საქმიანობაში სტუდენტების ჩართვას, შემოქმედებითი პროექტების მომზადების ხელშეწყობას, პრაქტიკული უნარების განმავითარებელი და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;

<ul style="list-style-type: none"> <li>○ მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან;</li> <li>○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>რეკომენდებულია, გასწორდეს მემორანდუმის გაფორმებისას გაპარული ტექნიკური ხარვეზი. ასევე მემორანდუმებში მიზანშეწონილია ასახულ იქნას დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ სტუდენტთა კონკრეტული რაოდენობის მიღების მზაობა.</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>უნივერსიტეტი ზრუნავს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე, მაგ. გეგმავს თანამშრომლობას ვროცლავის ერთ-ერთ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია ევროპის შესაბამისი პროფილის უნივერსიტეტებთან ამ მიმართულებით უფრო აქტიური მუშაობა, მათთან გაცვლითი პრაქტიკის, ერთობლივი ვორქშოპების და ა.შ. განხორციელების ხელშეწყობა, რაც საშუალებას მისცემს პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, ასევე სტუდენტებს ახლოს გაეცნონ საერთაშორისო გამოცდილებას.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, რომ სტუდენტმა სწავლების VI სემესტრში 5 კვირის განმავლობაში, საპროექტო ორგანიზაციაში გაიაროს პრაქტიკა, რაც პროფესიული საქმიანობისთვის მომზადების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია, სტუდენტს აძლევს შესაძლებლობას პროფესიულ გარემოში პროფესიონალ არქიტექტორთა მუშაობაზე დაკვირვებით, კონკრეტული პრაქტიკული დავალებების შესრულებით, კიდევ უფრო დახვეწოს და განივითაროს სწავლის პროცესში შეძენილი უნარები და კომპეტენციები</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები</b></p> <p>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.</p>
---

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“ ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოყენებულია სტუდენტისთვის, ცოდნის გადაცემის ისეთი საშუალებები, როგორებიცაა: ლექცია, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, პრაქტიკა და სხვ., სწავლება-სწავლის მეთოდები პროგრამის ფორმატში თავის მხრივ მოიცავენ სხვადასხვა აქტივობებს. მათი შერჩვა-გამოყენება მიმართულია, როგორც სტუდენტებისთვის ცოდნის გადაცემაზე, ისე სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, სხვადასხვა უნარების განვითარებაზე. პროგრამით გათვალისწინებული სწავლება-სწავლის მეთოდები და ფორმები შეესაბამება პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგებს. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის ფარგლებში გამოყენებული მეთოდები და შესაბამისი აქტივობები უზრუნველყოფენ კურსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას, მთლიანობაში კი პროგრამით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ მათგანს კარგად არ აქვს გათვინობიერებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანება N3-ით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები და მათი შესაბამისი აქტივობები. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პირები ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ სხვადასხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დებულებებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუები პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ზოგიერთ მათგანს კარგად არ აქვს გათვინობიერებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვარის ბრძანება N3-ით განსაზღვრული სწავლება-სწავლის მეთოდები და მათი შესაბამისი აქტივობები. სასურველია პროგრამის განმახორციელებელი პირები ზედმიწევნით კარგად იცნობდნენ სხვადასხვა ნორმატიული აქტებით განსაზღვრულ დებულებებს.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბაკალავრიატის პროგრამა „არქიტექტურა“-ს სტუდენტთა სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის და ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილი პროცედურების შესაბამისად, სამართლიანად გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ, გამჭვირვალეა, კანონმდებლობასთან შესაბამისი, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილი სტუდენტისათვის.

სტუდენტის შეფასება მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდას. თითოეულ მათგანს საერთო 100 ქულიდან ეთმობა სხვადასხვა წილი: შუალედურ შეფასებას - 60% (0-60 ქულა), ხოლო დასკვნით გამოცდას - 40% (0-40 ქულა). ორივე კომპონენტისთვის განსაზღვრულია მინიმალური დადებითი ქულაც. შუალედური შეფასების შემთხვევაში ესაა არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“).

სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ეთვლება თუ შეფასების ორივე კომპონენტის დაჯამებით ის მიიღებს ერთ-ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან:

(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

უნივერსიტეტში ასევე მოქმედებს ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტი „ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე:

ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე;

ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე.

FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დანიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

შუალედური და დასკვნითი გამოცდის ფორმას (პრეზენტაცია, ტესტი, კლაუზურა, პროექტი და ა.შ.) წყვეტს სილაბუსის ავტორი სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. სასწავლო კურსის სილაბუსებში გაწერილია აგრეთვე, პრაქტიკის და საბაკალავრო ნაშრომის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები. სტუდენტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები ასევე განისაზღვრება კურსის შესაბამისი სილაბუსით. კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში ასახული შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი, საკონსულტაციო საათები ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუს დროს, ასევე პროგრამის განმახორციელებელი პირების პირადი საქმეების შესწავლის შემდეგ, გაირკვა, რომ მათ უმეტესობას არ აქვს გავლილი ტრენინგები სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების შესახებ. ამდენად, რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის მიიღონ მხარდაჭერა.

პროგრამით გათვალისწინებული, სპეციალობის იმ სასწავლო კურსებში, რომელთა ფარგლებშიც სტუდენტს ევალება პრაქტიკულ-შემოქმედებითი პროექტის წარდგენა, შეფასება ხდება კომისიური წესით.

უნივერსიტეტის მიერ უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება.

უნივერსიტეტში ხდება სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. თუმცა სტუდენტთა სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების მეტად გამჭვირვალების მიზნით, სასურველია უნივერსიტეტში დაინერგოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა „არქიტექტურა“;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, სწავლების ხარისხის მონიტორინგი“;
- ინტერვიუები პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

#### **რეკომენდაციები:**

<p>რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის უნივერსიტეტის მხრიდან მიიღონ მხარდაჭერა.</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>სტუდენტთა სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასების მეტად გამჭვირვალობის მიზნით, სასურველია უნივერსიტეტში დაინერგოს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა.</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ არქიტექტურული გეგმარების დასკვნით გამოცდაზე ყველა კურსის სტუდენტთა პროექტების გამოფენა ხდება ერთდროულად. ეს საშუალებას აძლევს უმცროს კურსელებს ისწავლონ უფროსკულსელთა გამოცდილების მაგალითზე, უფროსკურსელები კი თავის მხრივ მოტივირებულები არიან, რომ პროექტი წარმოადგინონ საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმუმის ფარგლებში.</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	

### 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას,

ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

აღსანიშნავია, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ, სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში, უმაღლესი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციისთვის, მოწოდებული დოკუმენტაცია, არის - 2013 წლის 01 აგვისტოს გადაწყვეტილება N08 - ით აკრედიტირებული პროგრამის სახეცვლილი - გაუმჯობესებული ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტური მხარდაჭერის კუთხით ისეთი ახალი კომპონენტების შემატებას, რომლის ადეკვატური შეფასება ჯერ ვიზიტის დროს შეუძლებელი იყო, ვინაიდან შემდგომში ჩამოთვლილი კომპონენტები არის ახლად ინტეგრირებული ამ პროგრამაში და მათი ექსპლუატაცია ჯერ სრულფასოვნად ვერ შედგა. შესაბამისად სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად ვერ მოხერხდა მათი აზრის მოსმენა ამ პროგრამებში სტუდენტური ხელშეწყობის კუთხით ყველა ახალი ინსტრუმენტის გამართულად მუშაობის შესახებ. უნივერსიტეტი ეხლა ითვისებს ახალ ელექტრონულ პლატფორმას, ახალ კომპიუტერულ ბაზას. საბიბლიოთეკო საძიებო სისტემას. თუმცა სტუდენტებთან გასაუბრების დროს, აღინიშნა ყველა ის ფაქტორი რაც საჭიროებს ამ პროგრამისთვის სრულფასოვანი სტუდენტური მხარდაჭერის სერვისის ჩამოყალიბებას და ითვალისწინებს ისეთ კომპონენტებს როგორცაა: სტუდენტური კონსულტაციები, კარიერული მხარდაჭერა, უკუკავშირი ლექტორებისგან, სტუდენტების ჩართულობა უნივერსიტეტის ყოველდღიურ აქტივობებში, კურიკულიუმის ფარგლებს გარეთ ღონისძიებებში, - ინტერნაციონალიზაცია, მათი მატერიალური ხელშეწყობა/წახალისება, წვდომა საუნივერსიტეტო ბაზებთან და ა.შ. მოწოდებული დოკუმენტების შესწავლით, აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელთან საუბრის შედეგად მტკიცდება რომ უნივერსიტეტში ჩაბარების მომენტიდან, სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით ყველა სათანადო მხარდაჭერას. აგრეთვე მტკიცდება რომ ზემოთაღნიშნული ახალი ელექტრონული პლატფორმა (EMIS) მომავალში გააუმჯობესებს ზოგადად ინფორმირებულობას. ამ პლატფორმის მეშვეობით, შესაძლებელი და სრულყოფილი სახე მიეცემა, ელექტრონულ გამოკითხვებს და უკუკავშირს მიღებულ შეფასებებზე. მიუხედავად სასწავლებელში არსებული სტუდენტური თვითმმართველობის და კარიერული განვითარების ცენტრისა, როგორც უკვე ზემოთ იყო აღნიშნული სტუდენტებისათვის პრობლემას არ წარმოადგენს პროგრამის კოორდინატორთან და დეკანთან კომუნიკაცია. მათგან ვერბალურად საჭირო და დროული ინფორმაციის მიღება. თუმცა ახლად ჩამოყალიბებული EMIS - ვებ პლატფორმა, პასუხისმგებელი იქნება სტუდენტებისთვის, ადმინისტრაციისთვის და ლექტორებისთვის ყველა ინფორმაციის მიწოდებაზე. (ინფორმაციის შეგროვება / გაცვლა) აქ იგულისხმება ერთ პლატფორმაში გაერთიანებული ყველა ის ფუნქცია, რაც სასწავლებელს შეილება გამოადგეს



სტუდენტებთან ურთიერთობაში: სტუდენტებთან ნაშრომებზე უკუკავშირი, ბიბლიოთეკასთან კავშირი, - წიგნების მოძიება, გადმოწერა/დაჯავშნა, საკუთარი (სტუდენტების) გადასახადების კონტროლი, ლექტორების შეფასება, სტუდენტების შეფასება და სხვ. აღნიშნულის ინტეგრაცია მოაგვარებს გამოკითხვების ანონიმურობის პრობლემას, რაც ექსპერტთა აზრით აღნიშნული პლატფორმა მისი წარმატებით ინტეგრაციის შემთხვევაში წარმოადგენს ამ პროგრამის (უნივერსიტეტის) შემავსებელ ელემენტს, რომელიც მოაგვარებს არსებულ მცირე პრობლემებს რომელიც შეიძლება გაჩნდეს პროგრამის განვითარების (სტუდენტების მომრავლების) შემთხვევაში, სადაც უშუალო ვერბალური კავშირით ინფორმაციის გაცვლა გაჭირდება.

როგორც უკვე აღინიშნა, სასწავლო პროგრამა წარმოადგენს გაუმჯობესებულ ვარიანტს. სახეცვლილი ელემენტებია არაერთი კომპონენტი. ვიზიტის დროს გამოვლინდა რომ პროგრამაში დამატებული სილაბუსები მათი შემადგენელი ელემენტები არის სტუდენტებთან კონსულტაციების შედეგად და მათი მოთხოვნებით (ისევე როგორც დასაქმების ბაზრის კვლევის, და დამსაქმებლების მოთხოვნებზე დაყრდნობით) გათვალისწინებული საკითხები. მაგ: პროგრამაში დაკორექტირდა სილაბუსი „კომპიუტერული ტექნოლოგიები“ და გაიზარდა შესასწავლი პროგრამების რაოდენობა, (დაემატა AutoCad, Revit Architecture, photoshop,) აგრეთვე დაემატა 41-ე დადგენილების საკითხები შენობა ნაგებობის უსაფრთხოების სილაბუსის ფარგლებში და სხვა მრავალი (დეტალურად პროგრამის ნაწილში სტანდარტი 2.0): ყოველი ეს, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის განმარტებით, არის შეცვლილი უკეთესობისკენ. მათი განმარტებით, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს სტუდენტებს, მიიღონ თავისი პროფილისთვის საჭირო უნარ-ჩვევები.

სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი არის სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლებელი, რაც გამოიხატება შემდეგში. პირველ დახმარებას/ინფორმაციას ისინი ღებულობენ სასწავლებელში ჩარიცხვის დღიდან, როდესაც მათი უშუალო ხელმძღვანელი აწვდის მათ ინფორმაციას სილაბუსის შესახებ. აგრეთვე პროგრამაზე ჩასარიცხი ამჟამინდელი სტუდენტური რაოდენობა ხელს უწყობს უშუალო მჭიდრო ურთიერთობას როგორც პროგრამის ხელმძღვანელთან ისევე დეკანთან და სხვა ლექტორებთან, რაც ნიშნავს რომ სტუდენტს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია ვერბალურად და მომავალში ელექტრონული პლატფორმით ნებისმიერი საჭირო კომპეტენტური პირისგან. ყველა ძირითადი პირველადი ინფორმაციის მიწოდება ხდება უშუალო ვერბალური კავშირით, რასაც ხელს უწყობს ის გარემოება რომ არქიტექტურის პროგრამის ფარგლებში სტუდენტები თავისი დროის დიდ ნაწილს ატარებენ სასწავლებელში მათთვის გამოყოფილ სამუშაო სივრცეში. ექსპერტთა აზრით, ახალი პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ, როდესაც საუნივერსიტეტო მაშტაბით ამოქმედდება ახალი ელექტრონული პლატფორმები, ეს მხოლოდ გააუმჯობესებს იმ საკონსულტაციო გარემოს რაც უნივერსიტეტში დიდი ხნის მანძილზე ყალიბდებოდა. ვიზიტის დროს ევიდენტური იყო უნივერსიტეტის სულსწრაფვა გაუმჯობესებისკენ და მათი მოტივაცია შეექმნათ არქიტექტურის სტუდენტებზე ორიენტირებული გარემო. - ექსპერტთა აზრით, ელექტრონული პლატფორმა დაეხმარება სტუდენტებს მიიღონ ინფორმაცია არამარტო პროგრამის და სწავლების ფარგლებში საჭირო ინფორმაციაზე, არამედ წვდომა ექნებათ თავისი კანონიერი უფლებების და ვალდებულებების შესახებ საჭირო დოკუმენტებთან, დაეხმარება უნივერსიტეტს მიაწოდოს სტუდენტებს ინფორმაცია თანამედროვე

არქიტექტურული ინოვაციების შესახებ მსოფლიო ბაზარზე და გაზრდის სასწავლებლის მნიშვნელობას მსოფლიო ასპარეზზე. (აქ შეიძლება აღნიშნოს ვებ გვერდის არასრულფასოვნება - თუმცა ეს მატერიალური რესურსების ნაწილია)

არქიტექტურის პროგრამა ითვალისწინებს ხშირ და მჭიდრო ურთიერთობას სტუდენტებთან. მიუხედავად იმისა, რომ სილაბუსებში ისედაც გაწერილია ინდივიდუალური კონსულტაციების დრო და საათი, რაც თვითშეფასების ანგარიშშიცაა აღნიშნული, - ბევრი საგნის სილაბუსი - უშუალოდ პრაქტიკულ სამუშაოებზეა ორიენტირებული და თავისთავად აძლევს სტუდენტებს საშუალებას, მუშაობის დროს, ადგილზე მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია და საჭირო კონსულტაცია. აღნიშნულ საკითხს არაერთხელ, სხვადასხვა კონტექსტში გაესვა ხაზი გასაუბრების დროს და აღნიშნეს, როგორც აკადემიურმა პერსონალმა, აგრეთვე სტუდენტებმა და მოწვეულმა ლექტორებმაც. სტუდენტებს არაფერი არ ზღუდავთ, რომ მათ მიიღონ საჭირო კონსულტაცია ჯგუფური, ან ინდივიდუალური შეხვედრების ფორმატში.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი დარწმუნდა, რომ სტუდენტები მონაწილეობდნენ პროგრამის გაუმჯობესებაში. უშუალოდ პროგრამის კურსდამთავრებულები იყვნენ ჩართული, როგორც თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაში, აგრეთვე გაცნობიერებული ახალ პროგრამაში შეტანილი ყველა პატარა ცვლილების შესახებ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ისტორიის სადოქტორო პროგრამა;
- გასაუბრებები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელებთან, აკადემიურ პერსონალთან, სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, სასურველია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი პერიოდულად აწყობდეს სტუდენტებთან საინფორმაციო შეხვედრებს

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

#### რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

#### მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

#### შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
---	---	--	--	--

#### 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

##### 4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

##### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი: პროფესორი - 1; ასოცირებული პროფესორი - 8; ასისტენტ პროფესორი - 1; მოწვეული პერსონალი: I კატეგორიის სპეციალისტი - 8; მოწვეული პერსონალი: II კატეგორიის სპეციალისტი - 17;

I კატეგორიის სპეციალისტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

დარგის შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტი, რომელსაც აქვს სახელოვნებო ან უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 5 წლის გამოცდილება, აგრეთვე დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დარგში სამწლიანი მუშაობის გამოცდილებით.

II კატეგორიის სპეციალისტად შესაძლებელია მოწვეულ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელსაც აქვს დარგში პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება.“ (სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 12 დეკემბრის დადგენილება №04-01/34)

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა საკმარისია პროგრამაზე მისაღები კონტიგენტის მომსახურების გასაწევად.

პროგრამის სტუდენტები, ასევე, უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული, დამხმარე საბიბლიოთეკო პერსონალით.

ასევე, უნდა აღინიშნოს ბიბლიოთეკის არსებული სისტემა საჭიროებს დახვეწას და თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა მათი ნაკლები ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებში, გადამზადების კურსებში - ახალი სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით, ნაშრომების გამოქვეყნების და საერთაშორისო ურთიერთობების მხრივ.

პროგრამის ხელმძღვანელი:

- უნდა უძღვებოდეს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და პროგრამის სრულყოფის მიზნით მოქმედ პროგრამაში ცვლილებების შეტანის პროცესს;
- უზრუნველყოს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან;
- უზრუნველყოფდეს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;
- კოორდინაცია გაუწიოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობას;
- მოახდინოს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესის სისტემატურ ანალიზი;
- საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით ინფორმაციას მიაწოდოს და კონსულტაცია გაუწიოს სტუდენტებს და სხვა დაინტერესებულ პირებს;
- მოაგვაროს პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხები;
- პროგრამის განვითარების მიზნით, დარგის მოთხოვნათა შესაბამისად ითანამშრომლოს დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან.

ზემოთაღნიშნულთან მიმართებით, პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა, რომ იგი არასრულყოფილად პასუხობდა ექსპერტთა შეკითხვებს, არასრულყოფილი იყო ინფორმაცია სილაბუსების შინაარსსა და კრედიტების განაწილებაზე. ასევე მას არა აქვს პროგრამის შემდგომი განვითარების ჩამოყალიბებული ხედვა.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ბხსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი [www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge) ;
- ინტერვიუს შედეგები

#### **რეკომენდაციები:**

- საბიბლიოთეკო ელექტრონული ქსელის გამართვა და სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.
- პროგრამის ხელმძღვანელის პოზიციაზე დანიშნული უნდა იყოს მაღალი კომპეტენციის მქონე პირი.

<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p><b>4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b></p>
<ul style="list-style-type: none"> <li>➤ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;</li> <li>➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.</li> <li>➤ ბხსუ ზრუნავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე, რისთვისაც იყენებს ბხსუ-ს მატერიალურ და ფინანსურ რესურსებს და უცხოეთის პარტნიორ-დაწესებულებებთან თანამშრომლობით შექმნილ შესაძლებლობებს.</li> <li>➤ პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნავს როგორც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო პროგრამით „უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“; „სტაჟირება საზღვარგარეთ“; „კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი ინდუსტრიების ხელშეწყობა“; „კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა“; „კულტურის ორგანიზაციების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა“.. „კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა“ („უმაღლესი განათლების ხელშეწყობა“ პროექტის ფარგლებშიც არაერთი ღონისძიება დაფინანსდა, როგორც ზოგადად უნივერსიტეტში, ასევე უშუალოდ სახვითი, სასცენო და კინო-ტელეხელოვნების ფაკულტეტზე. სამომავლოდ იგეგმება სხვა საკონკურსო პროექტებშიც მონაწილობის მიღება.</li> </ul>

## სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბხსუ-ში აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს მათ მიერ ინდივიდუალური დატვირთვის შესრულების ანალიზს და მათ შეფასებას ბხსუ-ს ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში:

1) ინდივიდუალური დატვირთვის შესრულებას შეისწავლის ფაკულტეტის დეკანი და ფაკულტეტის საბჭო. ბხსუ-ს აკადემიური პერსონალის დატვირთვის კომპონენტებია: სასწავლო-პედაგოგიური საქმიანობა, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, ბხსუ-ს სტუდენტთა ხელშეწყობის/მხარდაჭერის და ბხსუ-ში განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებში მონაწილეობა, რაც გათვალისწინებულია აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვის სქემაში. აკადემიური პერსონალი ვალდებულია შეასრულოს სქემით გათვალისწინებული აქტივობები (სააუდიტორიო და არასააუდიტორიო დატვირთვა), შესრულებული სამუშაოს მონიტორინგს აწარმოებენ სამეცნიერო და შემოქმედებითი პროექტების კოორდინატორები და შედეგებს წარადგენენ აკადემიურ საბჭოზე.

2) ბხსუ-ს ყოველწლიური თვითშეფასების ფარგლებში ტარდება სასწავლო პროცესის მონიტორინგი (მოწმდება ლექციების, პრაქტიკული/ლაბორატორიული/სხვ. მეცადინეობების ხარისხი). ასევე, მონიტორინგის ერთ-ერთ ასპექტს წარმოადგენს პედაგოგიური ასპექტი (მოიაზრება ლექტორთა პედაგოგიური, პერსონალური, საკომუნიკაციო და სოციალური უნარები და პროფესიონალური კომპეტენტურობა) და პროგრამის რესურსებით უზრუნველყოფის საკითხი (მოიცავს პროგრამის ადამიანური რესურსის შემადგენლობის და კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის შეგროვებას და ანალიზს). თვითშეფასების პროცესში ხდება სტუდენტთა და პროგრამის განმახორციელებელთა აზრის შესწავლა (გამოკითხვა და/ან გასაუბრების გზით) და შედეგების ანალიზი. ბხსუ-ში მონიტორინგის ერთ-ერთ მიმართულებას წარმოადგენს პროგრამების პერსონალის კვალიფიკაციის და პროფესიული უნარების განვითარების საქმიანობის ხელშეწყობა. შეფასების შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის სრულყოფის და პროგრამის ადამიანური რესურსის განვითარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების დაგეგმვისათვის.

პროგრამაში ჩართული აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 5 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომებით, საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებებით, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტებით.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება მოიცავს პედაგოგიური და სამეცნიერო/შემოქმედებითი საქმიანობის შეფასებას, მის ჩართულობას სილაბუსების განახლებისა და სრულყოფის, სასწავლო მასალების, რიდერების მომზადების, სასწავლო პროცესის მონიტორინგის, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის, აკადემიური აქტივობის შედეგების შეფასებას. პროგრამის განვითარებაში მონაწილეობა, სასწავლო მასალების შემუშავება, სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები, აკადემიური აქტივობები - სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება, სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებაში მონაწილეობა, სტუდენტთა კონფერენციებში ჩართულობა და სხვა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალი სისტემატურად მონაწილეობს ტრენინგებსა და პროექტებში. ხელოვნების უნივერსიტეტში. ხელოვნების თეორიისა და ისტორიის დეპარტამენტის ბაზაზე პერიოდულად იბეჭდება სამეცნიერო შრომების კრებული

„ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“. 2008 წლიდან დღემდე გამოცემულია 7 ტომი. ბხსუ ყოველწლიურად ატარებს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებს, გამოსცემს სამეცნიერო კრებულს საერთაშორისო გრივით

წარმოდგენილი დოკუმენტებით ჩანს რომ უნივერსიტეტი ჩართულია Erasmus+ პროექტში. პროექტის ფარგლებში. **2014-2015 წწ.** ხელოვნების უნივერსიტეტი იყო ევროკავშირის შავი ზღვის საზღვრისპირა თანამშრომლობის პროგრამის პროექტის „ლიმენი - კულტურული პორტები ეგეოსიდან შავ ზღვამდე“ მონაწილე. მიერ: 22-23.02.2018 - „პროექტების მართვისა და სტუდენტთა კარიერული ზრდის მხარდაჭერა“; 09-10.03.2018 - „სწავლის შედეგები და კომპეტენციების რუქის შედგენის მეთოდოლოგია“ - ორგანიზებული “კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის“ (APU) მხარდაჭერით.

ასევე აკადემიური/მოწვეული პერსონალის განვითარების მიზნით ყოველწლიურად ტარდება ტრენინგები, კონფერენციები, საჯარო ლექციები, მასტერკლასები, საერთაშორისო და ადგილობრივი. - ორგანიზებული “კერძო უმაღლესი სასწავლებლების ასოციაციის“ (APU) მხარდაჭერით.

აკადემიური/მოწვეული პერსონალთან ინტერვიუს შედაგად და წარმოდგენილი CV-ის განხილვის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ, მათი ჩართულობა პროფესიული განვითარის პროექტებში არ არის მასიური, აუცილებელია მსგავს პროექტებში სრულად ჩართული იყოს აკადემიური პერსონალი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიური პერსონალის CV-ები
- ბხსუ-ს ოფიციალური ვებგვერდი [www.batu.edu.ge](http://www.batu.edu.ge) ;
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

- აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება თანამედროვე სწავლების მეთოდებთან დაკავშირებით (ტრენინგები)
- აკადემიური პერსონალის ჩართულობა სამეცნიერო კონფერენციებში
- საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)



## შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 4.3 მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბხსუ-ს სასწავლო კორპუსი, კომპიუტერული კლასები, სალექციო აუდიტორიები, სახვითი ხელოვნების აუდიტორიები, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა, ფაკულტეტის ინფრასტრუქტურა და ტექნიკური აღჭურვილობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. აქ იგულისხმება, რომ ყველა ზემოთ აღნიშნულ სივრცეს გააჩნია ბუნებრივი განათება; ვენტილაცია, კონდიციონერები. სახატავი ოთახებში არის ყველა გრაფიკის შესასწავლად საჭირო ინსტრუმენტი, იქნება ეს: გეომეტრიული ფიგურა, ბიუსტი თუ დრაპირება. კომპიუტერები არის სხვადასხვა დანიშნულების რის მიხედვითაც განსხვავდება მათი სიმძლავრე. ყველაზე ძლიერი კომპიუტერები, რომლებიც ვიზიტის დროს 4 ცალი იყო, არის სტუდენტებისთვის რომლებიც ძირითადად საბაკალავრო სადიპლომო ნაშრომზე მუშაობენ, თუმცა მათი გამოყენება ყველა სტუდენტისთვის ერთნაირად ხელმისაწვდომია. უნივერსიტეტს ადგილზე გააჩნია პლოტერი, რაც ვიზიტის დროისთვის ჯერ არ იყო მოყვანილი მუშაობის რეჟიმში და არ იყო აწყობილი, ტუმცა ამის არსებობა უკვე უმარტივებს სტუდენტებს თავიანთი ნაშრომების მომზადებას საბოლოო პრეზენტაციისთვის და არის იმის გარანტი რომ სტუდენტისთვის ამობეჭდვა არ იქნება პრობლემა.

უსდ-ს ტექნიკურად გასამართი აქვს ელექტრონული საბიბლიოთეკო სისტემა, გართულებულია თავისუფალი წვდომა, როგორც ადილობრივ, ასე საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ბაზებზე. სტუდენტებს შეუძლიათ შევიდნენ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საძიებო სისტემაში საკუთარი კომპიუტერიდან თუ ისინი იმყოფებიან უნივერსიტეტის სივრცეში, სახლიდან წვდომა იგივე საბიბლიოთეკო ბაზაზე შეუძლებელია. აქ არ იგულისხმება წვდომა EBSCO-ზე. - რაც შესაძლებელია არა საუნივერსიტეტო სივრცეიდანაც. EMIS- ის ვებ პლატფორმა არ ითვალისწინებს საბიბლიოთეკო საძიებო სისტემებს, ამიტომ არსებულ პლატფორმას სჭირდება დამუშავება და გამარტივება. - თუმცა, ამ ეტაპზე ეს არ აფერხებს სასწავლო პროგრამის გამართულ მუშაობას.

აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის უნივერსიტეტს გააჩნია მატერიალური რესურსი.

<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>◦ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>◦ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>◦ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>◦ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</b></p>
<p>პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.</p>
<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>არქიტექტურის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ძირითადად არის სუფსიდირებადი იგი ფინანსდება სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი სახსრებით და საკუთარი შემოსავლებით. საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება უნივერსიტეტის ერთიან ბიუჯეტში ასახული შემოსავლებისა და ხარჯვითი კატეგორიების მიხედვით. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა არის მდგრადი.</p> <p>2019 წლის ბიუჯეტის მიხედვით (გადაწყვეტილება № 05-01/01), შემოსავლების ნაწილი: 1750000,00; ხარჯვითი ნაწილი: 1750000,00</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p>

<ul style="list-style-type: none"> <li>კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით</li> </ul>
<b>რეკომენდაციები:</b> წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b> არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b> <ul style="list-style-type: none"> <li>პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b> <ul style="list-style-type: none"> <li>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<b>შეფასება</b> <ul style="list-style-type: none"> <li><input type="checkbox"/> გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li><input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		

### 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

<b>5.1 შიდა ხარისხის შეფასება</b> პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების
--

ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის „არქიტექტურა“ ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება ე.წ. მუდმივი გაუმჯობესების ციკლს „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ (PDCA).

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა შეფასება მოიცავს: საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესის, სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის შეფასებას და ასევე პროგრამის განვითარების პროცესში დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები) აზრის და დამოკიდებულებების კვლევას. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასება ხდება რაოდენობრივი და თვისებრივი ინდიკატორების ურთიერთშეჯერებისა და ანალიზის საფუძველზე. პროგრამის შიდა შეფასების შედეგად უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან თანამშრომლობით შეიმუშავებს კონკრეტულ რეკომენდაციებს პროგრამის განხორციელების და სწავლის შედეგების მიღწევის შემდგომი სრულყოფის მიზნით. რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს და ფაკულტეტების საბჭოებს.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა, სასწავლო პროცესის შედეგების ანალიზის საფუძველზე დაადგინოს, რამდენად ადეკვატურად მიმდინარეობს სწავლება, გამოავლინოს პრობლემები და დასახოს მათი აღმოფხვრის გზები. სასწავლო პროცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს სტუდენტების აკადემიური მოსწრება წარმოადგენს. ცხადია, აკადემიური მოსწრების ანალიზის გარდა, სასწავლო პროცესის შეფასებისას მნიშვნელოვანია პროცესში მონაწილე ყველა მხარის - აკადემიური პერსონალის, ადმინისტრაციისა და სტუდენტების, რიგ შემთხვევებში დამსაქმებლების და კურსდამთავრებულების-გამოკითხვა. აკადემიური პერსონალის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, როგორც სწავლების, ასევე სამეცნიერო/შემოქმედებითი კომპეტენციები, კერძოდ:

- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობის მიღების, სასწავლო კურსის პროგრამის ეფექტურად დაგეგმვის უნარი;
- უშუალოდ სწავლების, ცოდნის გადაცემის, სტუდენტების მოტივირება, მოცემული საგნით მათი დაინტერესების, ობიექტური და სამართლიანი შეფასების, მათთან ეფექტური კომუნიკაციის უნარი;
- დარგობრივი კომპეტენციის დონე - კონკრეტული საგნის ცოდნა, დარგობრივ სფეროში მიმდინარე ცვლილებებისა და სიახლეების ცოდნა, დარგობრივი სფეროს გამოყენებითი ასპექტები, მისი როლი და ადგილი სხვა დისციპლინებთან მიმართებაში.

ბხსუ-ში სწავლების კომპეტენციების შეფასებისათვის გამოიყენება შემდეგი მეთოდები: სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზი; სასწავლო კურსების შეფასება;

შეფასება კოლეგების მიერ (ლექციაზე დასწრება). თუმცა, როგორც ინტერვიუს შედეგად გაირკვა შეფასება კოლეგების მიერ ბაკალავრიატის პროგრამა „არქიტექტურა“-ს ფარგლებში არ განხორციელებულა.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია დადგინდეს:

- საგანმანათლებლო პროგრამისა და ცალკეული კურსების სირთულის ხარისხი;
- შეფასების გამოყენებული მეთოდების ადეკვატურობა;
- აკადემიური პერსონალის პედაგოგიური თვისებები;
- სტუდენტების მომზადების დონე.

სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი ტარდება რეგულარულად, ყოველი სემესტრის დასრულებისას. ანალიზის შედეგები კი საჯარო მსჯელობის საგანია. მონიტორინგსა და შეფასებას ექვემდებარება სასწავლო პრაქტიკაც. სააუდიტორიო მეცადინეობისა და სასწავლო პრაქტიკის შეფასების მიზნით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო კურსის ფორმატისა და სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშავებს სპეციალურ ფორმას.

სტუდენტები რეგულარულად აფასებენ სასწავლო კურსებს, კურსის შეფასების კითხვარით, რომელსაც ისინი ანონიმურად ავსებენ. ანონიმურობის დაცვის მიზნით კვლევას ატარებს და ჩატარებული კვლევის ანალიზს აკეთებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები.

კვლევები ტარდება პერიოდულად და სისტემატიურად სემესტრების ან სასწავლო წლების მიხედვით. ხდება მიღებული შედეგების ანალიზი, ურთიერთშედარება და მიღებული დასკვნების საფუძველზე გამოვლენილი სუსტი მხარეების გამოსწორების გზების დასახვა.

ბხსუ-ში შემუშავებულია ასევე კმაყოფილების კვლევის შეფასების კითხვარები და სისტემა. ეს კითხვარებია:

- სასწავლო კურსის შეფასების კითხვარი;
- სტუდენტის კმაყოფილების კვლევა;
- კურსდამთავრებულთა კმაყოფილების კითხვარი;
- დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარი;
- პოტენციურ დამსაქმებელთა კმაყოფილების კითხვარი;
- აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კითხვარი.

არსებული პროცედურა ხელს უწყობს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესების სრული მომსახურების ხარისხის კმაყოფილების ერთიანი სისტემის დანერგვას.

ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეფასებულ იქნა ასევე ბაკალავრიატის პროგრამა „არქიტექტურა“ და მისი კრიტერიუმი, შეფასების შედეგად შემუშავებულ იქნა შემაჯამებელი რეკომენდაციები

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შევსებული ფორმა - საბაკალავრო პროგრამის შეფასება და კრიტერიუმები;

<ul style="list-style-type: none"> <li>○ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის შეფასების წესი;</li> <li>○ ხარისხის სამსახურის ანგარიშები</li> <li>○ ბხსუ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები.</li> <li>○ ინტერვიუები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ პერსონალთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია უნივერსიტეტში დანერგილი პრაქტიკა - შეფასება კოლეგების მიერ (ლექციაზე დასწრება) განხორციელებულ იქნას ბაკალავრიატის პროგრამა „არქიტექტურა“-ს ფარგლებში.</li> <li>• ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებზე, მარეგულირებელ დოკუმენტებზე და სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვისთვის აუცილებელ სხვა საჭირო საკითხებზე ინფორმირებულობის, ხარისხის კულტურის დანერგვისა და განვითარების მიზნით, სასურველია საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება თვითშეფასების ანგარიშის შედეგაში ჩართულ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან.</li> </ul>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</li> </ul>

<p><b>5.2 გარე ხარისხის შეფასება</b></p> <p>პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.</p>
--

<p><b>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</b></p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმს, რომელიც ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებას“ და „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებას“. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია წინა აკრედიტაციის დროს მიღებული რეკომენდაციები. ასევე, როგორც თვითშეფასების ანგარიშიდან ჩანდა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებელთან ინტერვიუს შედეგად დადასტურდა პროგრამის შემუშავებისას მოხდა გარე ხარისხის შეფასების შედეგების გათვალისწინება, კერძოდ: კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და მათი მოთხოვნების პროგრამაში ასახვა. თუმცა პროგრამის განვითარების მიზნებისთვის, სასურველია ისეთი გარე შეფასების მექანიზმის გამოყენება, რომლის დროსაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ექსპერტად შერჩეული მაპროფილებელი დარგის სპეციალისტი ახდენს პროგრამაზე რეცენზიის გაკეთებას.</p>
<p><b>მტკიცებულებები/ინდიკატორები</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ თვითშეფასების ანგარიში;</li> <li>○ ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელთან.</li> </ul>
<p><b>რეკომენდაციები:</b></p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p><b>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</b></p> <p>პროგრამის განვითარების მიზნებისთვის, სასურველია ისეთი გარე შეფასების მექანიზმის გამოყენება, რომლის დროსაც უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ექსპერტად შერჩეული მაპროფილებელი დარგის სპეციალისტი ახდენს პროგრამაზე რეცენზიის გაკეთებას</p>
<p><b>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის</li> </ul>
<p><b>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)</li> </ul>
<p><b>შეფასება</b></p> <ul style="list-style-type: none"> <li>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</li> <li>✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> <li><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</li> </ul>

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგსა და პერიოდულ შეფასებას კოორდინირებას უწევს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, ბხსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს სასწავლო პროცესის მონიტორინგს, რაც გულისხმობს სასწავლო და საგამოცდო მასალების შეფასებას, გამოცდების მონიტორინგს და შედეგების ანალიზს. საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგში ჩართულია აკადემიური პერსონალი, სტუდენტები და სხვა დაინტერესებული მხარეები. სასწავლო პროცესის შეფასების და პროგრამის დახვეწისა და გაუმჯობესების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ტარდება სტუდენტთა გამოკითხვები, ყოველი ძირითადი სასწავლო კურსის ბოლოს, სტუდენტები აფასებენ (კითხვარების მეშვეობით) აღნიშნულ კურსს. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე მუშავდება და დგინდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კომპეტენციების მიღწევის დონე. განიხილება ასევე კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა წინადადებები საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რაც, შეიძლება, გახდეს სასწავლო კურსების ჩანაცვლების, ძირითადი სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობის შეცვლის ან/და არჩევითი სასწავლო კურსების დამატების, სწავლების მეთოდების, სასწავლო მასალების და ლიტერატურის განახლების საფუძველი. ყოველივე ეს წინაპირობაა პროგრამის განვითარებისა და მოდიფიცირებისა (საჭიროების შემთხვევაში).

წარმოდგენილი პროგრამის მიმართ მიღებული შეფასების შედეგები გამოიყენებულ იქნა პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის. კერძოდ, მონიტორინგის შედეგების ანალიზის საფუძველზე პროგრამაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები: დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით განისაზღვრა თითოეული სასწავლო კურსის ფორმატი (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მუშაობა, სახელოსნოში მასალაში მუშაობა, საველე და საწარმოო პრაქტიკა და სხვ.). მაგალითად ისეთ სასწავლო კურსებში, როგორცაა: ხატვა, ფერწერა, მოცულობით-სივრცითი კომპოზიცია, ინტერიერის დიზაინის საფუძვლები, კონსტრუქციები, შენობების საინჟინრო აღჭურვა, შესავალი სპეციალობაში, არქიტექტურული გეგმარება - დომინირებს პრაქტიკული მეცადინეობები, დაიხვეწა პრაქტიკული უნარების შეფასების სისტემა. ზოგიერთი კურსის ფარგლებში საგამოცდოდ მზადდება პრაქტიკული ხასიათის პროექტი. რიგ კურსებშია გათვალისწინებულია ლექცია და სემინარი (მსოფლიო ხელოვნება, ქართული ხელოვნების ისტორია, თანამედროვე არქიტექტურის ისტორია) სასწავლო კურსი, გეოდეზია, მოიცავს როგორც სააუდიტორიო, ასევე არასაუდიტორიო მეცადინეობებს. ურბანული მემკვიდრეობის დაცვა,



ქლავქმშენებლობის ეკოლოგიის საფუძვლები, ქლავქმშენებლობის საფუძვლები - კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე ურთიერთთანაფარდობაშია სწავლებისა და სწავლის თეორიული და პრატიკული ელემენტები. გამოკითხვის კვლევის/ანალიზის შედეგად შინაარსობრივად გაძლიერდა: კომპიუტერული კურსი (გახდა ექვსემესტრიანი); დაემატა დარგობრივი სამართლის კურსი; შეიცვალა და გაძლიერდა პრაქტიკის კომპონენტის შინაარსი, დიფერენცირდა და დაემატა კრედიტები: ცალკე გამოიყო საპროექტო, სავლე (გეოდეზია) და აზომვითი პრაქტიკა, ცალკე კომპონენტად ჩამოყალიბდა პრაქტიკა არქიტექტურული კონსტრუქციების მიმართულებით. მომზადდა „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების“ კურსი; შემოქმედებითი საშემსრულებლო უნარების დახვეწის მიზნით გაძლიერდა - კომპოზიციის სასწავლო კურსები, შეიცვალა მთელი რიგი კურსების შინაარსი პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე. პროგრამა ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის შესრულებას, რომელიც წარმოადგენს არქიტექტურის საგანმანათლებლო პროგრამის დასკვნით კომპონენტს, რომელშიც სტუდენტმა უნდა წარმოაჩინოს სწავლების მანძილზე მიღებული ცოდნა და შემოქმედებით-პრაქტიკული უნარ-ჩვევები. საბაკალავრო ნაშრომის მიზანია - შეიქმნას ბაკალავრიატის კომპეტენციებით განსაზღვრული, კვალიფიკაციის შესაბამისი ნამუშევარი.

უნივერსიტეტის წინაშე დასმული ამოცანების სირთულე და მრავალმხრივი ხასიათი მოითხოვს განათლების ხარისხის ობიექტური, თანმიმდევრული და ეფექტიანი შეფასებისა და კონტროლის მექანიზმების შექმნას, რომელიც არა მხოლოდ უნივერსიტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგების მონიტორინგს განახორციელებს, არამედ აქტიურად აკონტროლებს მისი ფუნქციონირების ხარისხს. ამ მიზნით ბოლო ხანს შემუშავდა და აკადემიურ საბჭოზე დამტკიცდა ლექციაზე დაკვირვების ფორმაც. ლექცია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის ორგანიზების წამყვანი და ყველაზე ეფექტური მეთოდია და მისი ხარისხის შეფასება მნიშვნელოვანია.

პროგრამის შემუშავების დროს მოხდა საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში განხორციელებული მსგავსი პროგრამების შესწავლა-ანალიზი, ასევე პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით მოხდა მისი მოსკოვის არქიტექტურის ინსტიტუტის პროგრამასთან დადარება, თუმცა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია, პროგრამის დადარება მოხდეს ევროპის უსდ-ის მიერ განხორციელებულ მსგავს პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის გაუმჯობესებას, მასში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების პერსპექტივას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებელთან;
- სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვის ფორმები (კითხვარები).

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამის ხელმძღვანელი ახორციელებს პროგრამის დადარებას ადგილობრივი და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ანალოგიურ პროგრამებთან. თუმცა პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნით, სასურველია, პროგრამის დადარება მოხდეს ევროპის უსდ-ის მიერ განხორციელებულ მსგავს პროგრამებთან, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის გაუმჯობესებას, მასში საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების პერსპექტივას

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**შეფასება**

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა
- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:  
სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი


უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:  
არქიტექტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა:  
51

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		✓		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა			✓	
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		✓		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის  
სახელი, გვარი, ხელმოწერა  
ალექსანდრე წაქაძე



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის  
სახელი, გვარი, ხელმოწერა  
ნინო ხაბეიშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა  
გიორგი ქურდიანი

